ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 25% მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, 16% — პატრიოტთა ალიანსს



გვ.6

23 სექტემბრიდან

ილია ჭავჭავაძე

კაცია-ადამიანი?!



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

შაბათი — კვირა, 24 — 25 სექტემბერი, 2016 №227 (7153) ფასი: 50 თეთრი

# „5 ოქტომბერს სააკაშვილი სარფში იქნება“





გვ.4





## უკრაინული ვიკილიქსი: „სააკაშვილი საქართველოში რევოლუციას აპირებს“

## რესპუბლიკელებმა ივანიშვილსა და „ოცნებას“ ომი გამოუცხადეს



გვ.2

თინა ხიდაშელი: „ჩვენ არ დაგვიწყია და არ ვაპირებთ, რომ გავჩუმდეთ“

უსუფაშვილი: „არც „ოცნება“ და არც „რესპები“ არ ვართ დაკომპლექტებული არც ანგელოზებითა და არც ბისმარკებით“



## ვახტანგ ძაბირაძე: „ივანიშვილი ოპოზიციას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ აერთიანებს“



გვ.3





გვ.3

## თორნიკე შარაშენიძე: „ოთხი წლის წინ ბევრად უარესი საარჩევნო გარემო იყო“

## ლევან ჩაჩუა: „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა პირველ და მეორე ადგილებზე კინკლაობენ“



გვ.5

„სამართლიანობის აღდგენა თუ უნდოდათ, ეს დიდი ხნის წინ უნდა დაეწყოთ“

## თამარ ჩუგოშვილი: „პატარა შანსიც არ არსებობს იმის, რომ ქვეყანაში რევოლუციური სცენარი განვითარდეს“



გვ.2

ხაჯიმბამ საგარეო საქმეთა მინისტრი ურჩხობისთვის დასაჯა

## სკანდალი სოხუმის მთავრობაში



გვ.5

ISSN 1987-9385

9 771987 938006



გვ.6

## განახლებული 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში ნოემბრიდან გამოვა

# რესპუბლიკელებმა ივანიშვილსა და „ოცნებას“ ომი გამოუცხადეს

შორენა მარსაგიშვილი

რესპუბლიკელებისა და მეოცნებეების დაპირისპირება პიკს აღწევს. დათმობაზე წასვლას არცერთი მხარე არ აპირებს და, არ არის გამორიცხული, სკანდალური ამბების გასკდომის მომსწრენი გავხდეთ.

წინა კვირას რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ კორძაიამ განაცხადა, რომ თუ ივანიშვილი არ გაჩერდებოდა, ისინი ბევრ ისეთ ინფორმაციას გამოაქვეყნებდნენ, რაც ექსპრემიერს არ მოეწონებოდა.

ივანიშვილმა ყოფილი პარტნიორების გაფრთხილება არად ჩააგდო და ამ კვირაში მრავალგზის მოიხსენია ყოფილი პარტნიორები.

ამას პარლამენტის თავმჯდომარემ წერილის გამოქვეყნებით უპასუხა. დავით უსუფაშვილის უსტარი მიმდინარე წლის მარტში კვირიკაშვილისა და ივანიშვილის სახელზეა გაგზავნილი.

„ახალი თაობა“ ამ წერილს უცვლელად გთავაზობთ.

* * *

ბატონ ბიძინასთან ხანგრძლივი და კომპლექსური კონსულტაციების შემდეგ, ჯერ კიდევ 2015 წლის მარტ-აპრილში შევთანხმდით, რომ კოალიცია საარჩევნო რელსებზე უნდა გადაგვეყვანა 2015 წლის 1 სექტემბრიდან, რათა წელგამართული შევხვედროდით არჩევნებს. კოალიციის საყრდენად კი მოაზრებული იყო რეფორ-



მირებული პარტია „ქართული ოცნება“ და „რესპუბლიკური პარტია“, ცხადია, კოალიციაში სხვა სუბიექტების არსებობითაც.

მრავალი მიზეზის გამო პროცესი გაჭიანურდა და ნოემბერში დაისვა პრემიერის შეცვლის საკითხიც. ბუნებრივია, საარჩევნოდ გადაწყობის პროცესი უნდა დალოდებოდა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას. გაჩნდა იმის შანსიც, რომ სწორედ ახალი პრემიერის პოლიტიკურ სცენაზე შემოსვლას დამთხვეოდა კოალიციის საარჩევნოდ გადაწყობის პროცესიც.

განვლილ ორთვენახევარში პრემიერის თითქმის მთელი დრო და ენერგია წაიღო უაღრესად საშურმა სამთავრობო საქმეებმა. პარალელურად კოალიციის დამფუძნებელმა გადაწყვიტა კოალიციურ-პოლიტიკური-საარჩევნო საქმეებიდან მაქსიმალური დისტანცირება. შედეგად მივიღეთ გარკვეული ვაკუუმი კოალიციის პოლიტიკურ მენეჯმენტში და მიმდინარე პოლიტიკური პროცესიც და კოალიციის საარჩევნოდ გადაწყობის პროცესიც წარიმართა ძირითადად თვითდინებით, სხვადასხვა მხრიდან წამოსული თვითდამაზიანებელი ინდივიდუალური ინიციატივებით და კონტრ-ინიციატივებით. ეს მაშინ, როდესაც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე სწორედ კონსოლიდაცია, დისციპლინა და მონოლითურ გუნდად წარმოჩენაა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანა.



თინა ხიდაშელი: „ჩვენ არ დაგვიწყია და არ ვაპირებთ, რომ გავჩუმდეთ“

დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი შეფასებით, ვითარება პრაქტიკულად გამოსულია კონტროლიდან და ყოველდღე შეიძლება მივიღოთ ახალ-ახალი უკიდურესად დამაზარალებელი სიურპრიზები სხვადასხვა მხრიდან. გარკვეული გაგებით, დღეს მე ვეღარც მართალს ვხედავ ვინმეს და ვეღარც მტყუანს.

ეს ის ვითარებაა, როცა ყველას თავისი სიმართლე აქვს, იმიტომ, რომ ერთიანი გუნდის განცდა მინიმუმის ნიშნულზეა და „ყველა თავისას ცდილობს, რას ერჩი“... (სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი უნებურად სწორი ტაქტიკა გამოვიდეს – არჩევნებამდე დარჩენილი დროის ცაიტნოტის და „ფუტკრის აშლილი სკის“ სინდრომის ერთობლიობამ შესაძლოა სწრაფ და ეფექტურ დალაგებამდე მიგვიყვანოს...).

ასეა თუ ისეა, 6-7 თვის დაგვიანებით, სასწრაფოდაა გადასაწყვეტი კოალიციის საარჩევნოდ დალაგების საკითხი და, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ნომერი პირველი კოალიციური, სახელისუფლებო და სახელმწიფო ამოცანა. ცხადია, ამ საკითხში კოალიციის დამფუძნებელს და კოალიციის დღევანდელ ლიდერს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვაც, ინიციატივაც და პასუხისმგებლობაც. თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილებები და შეწყვიტოთ კოლექტიური კოალიციური თვითდაზიანების პროცესი.

საკითხს მრავალი სასწრაფოდ მოსაგვარებელი ასპექტი აქვს („ქართული ოცნების“ შიდა პარტიული რეფორმა, კოალიციის დღევანდელ თუ მომავალ პარტნიორებთან მიმართება, საარჩევნო შტაბი, კანდიდატები და ა.შ), მაგრამ ამ ეტაპზე მე მათზე ერთნაირი დოზით ვერ მექნება ვერც მოსაზრებები და ვერც ინიციატივები. მაგრამ ერთ კონკრეტულ ასპექტზე – „რესპუბლიკელებთან“ ურთიერთობაზე – ვალდებული ვარ, დაუყოვნებლივ მოგმართოთ:

თუ ძალაშია შარშან აპრილში კოალიციის დამფუძნებელთან მიღწეული ზოგადი შეთანხმება, რომელიც დადასტურებული იქნა კოალიციის ლიდერის მიერ ერთი კვირის წინ, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა დავსხდეთ და საჯარო აჟიოტაჟის გარეშე დავაკონკრეტოთ, რას და როგორ ვგეგმავთ.

თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ზოგადი შეთანხმება აღარ არის ძალაში, მაშინ მაინც დაუყოვნებლივ უნდა დავსხდეთ და ყველაფერი ვილონოთ, რათა ისე გავიყაროთ, რომ ქვეყნის ინტერესებს რაც შეიძლება ნაკლები ვავნოთ.

მე პირადად ეჭვი არ მეპარება თქვენს გულწრფელ სურვილში, რომ ჩვენ ერთად გავაგრძელოთ შრომა და ბრძოლა, მაგრამ დღეს სხვა ინტერესების მქონე მოთამაშეები უფრო ქმნიან ამინდს. მაგალითად, ერთი კვირის წინ პრემიერთან შეხვედრისას შეჯერებული გეგმა და მესიჯი სტრატეგიული თანამშრომლობის თაობაზე შემდეგ დღეებში სხვების აქტიურობით პრაქტიკულად გაშარჟდა.

ვხედავ, რომ ყოველი დაყოვნებული დღე უფრო და უფრო ართულებს შესაძლო შეთანხმებასაც და შესაძლო ცივილურ გაყრასაც. არც „ოცნება“ და არც „რესპები“ არ ვართ დაკომპლექტებული არც ანგელოზებით და არც ბისმარკებით. რაც ვიყავით ამ ოთხ-წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ისევ ის ვართ, მაგრამ ახლა ვითარება იმდენად დაძაბული და გაურკვეველია, რომ ყველა საჭიროდ მიიჩნევს თადარიგის დაჭერას უარესი სცენარისთვის. სხვადასხვა მხრიდან ამგვარი თადარიგების დაჭერებით კი მივექანებით სწორედ რომ ყველაზე უარესი სცენარისკენ – არჩევნებამდე არაცივილური გაყრისკენ.

მე, პირადად, არაცივილურ გაყრაზე და ქვეყნისთვის მის შედეგებზე ფიქრიც კი არ მინდა, მაგრამ შესაძლოა, ერთმანეთს აცდენილმა და ერთმანეთისთვის დროზე ვერ ახსნილმა კეთილი განზრახვების ერთობლიობამ სწორედ აქ მიგვიყვანოს.

მინდა გულწრფელად გითხრათ და მინდა იცოდეთ, რომ შექმნილ ვითარებაში მე პრაქტიკულად ამომეწურა დამბალანსებელ-მომრიგებელ-შემრიგებელ-გადამგორებლის რესურსი.

ორივეს უმორჩილესად გთხოვთ, იმოქმედოთ დაუყოვნებლივ. თუ საჭირო გავხდი, შაბათს და კვირას თქვენს განკარგულებაში ვარ.

* * *

წერილის გამოქვეყნებას განსხვავებული რეაქციები მოჰყვა.

ნაციონალებმა რესპუბლიკელების თავგამოდება მათვე შეუტრიალეს ცუდად.

– ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ რესპუბლიკელები ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობას ხელს აფარებდნენ, – განაცხადა სერგო რატიანმა.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, გია ვოლსკის შეფასებით, რესპუბლიკელებს როყიო განცხადებები ახასიათებთ და კოალიციაში ყოფნის დროს ბევრჯერ დააყენეს უმრავლესობა სკანდალის წინაშე.



უსუფაშვილი: „არც „ოცნება“ და არც „რესპები“ არ ვართ დაკომპლექტებული არც ანგელოზებითა და არც ბისმარკებით“

– ცივილურ გაყრაზე საუბრობს, საკმაოდ ცივილურად გავეყარეთ. უბრალოდ, ამ გაყრის შემდეგ არ არის საჭირო ისეთი ხმამაღალი განცხადებების გაკეთება. შეიძლება რაღაც დეტალებზე ვისაუბროთ, მაგრამ რაღაც შეცდომებიც უნდა ვაღიაროთ, ალბათ. ამპარტავნობისგან მართლაც უნდა გავთავისუფლდეთ.

სწორედაც ეს სიტყვა – მატყუარა, სიცრუე. ჯერ ერთადაც რომ ვიყავით და საკმაოდ სერიოზულ კანონპროექტებზე ვმუშაობდით, მაშინაც ძალიან ბევრჯერ მომიხდა ვითარების გადარჩენა, რომ ეს შეხლა-შემოხლა სიტყვიერი არ გადაზრდილიყო გარკვეულ სკანდალში. ბევრჯერ დაგვაყენეს ამის წინაშე. საერთოდ, ეს როყიო განცხადებები არის სტილი, მეთოდი, რომელიც ახასიათებს რესპუბლიკურ პარტიას, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოქვეყნებული წერილით კმაყოფილებაა რესპუბლიკურ პარტიაში. მეუღლის გადაწყვეტილებით კმაყოფილია თინა ხიდაშელიც. მისი განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი მომავალშიც რაღაცას აპირებენ.

თავდაცვის ექსმინისტრი ამბობს, რომ ისინი გაჩუმებას აღარ აპირებენ.

– ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს კამპანია ამ ტონალობაში მიმდინარეობს. თუმცა ეს არ იყო რთულად წარმოსადგენი მაშინაც და ამ წერილში ამაზეც არის საუბარი, რომ ჩვენ და დათო პირადად, დაინტერესებული ვიყავით, რომ გაყრა ყოფილიყო ცივილიზებული, ევროპული, მოსახლეობასთან გვესაუბრა პენსიებზე, ეკონომიკაზე, სამუშაო ადგილებზე, საგარეო პოლიტიკაზე, ევროატლანტიკურ სივრცეზე, ამერიკულ სამხედრო ბაზებზე და არა იმ რეჟიმში, რა რეჟიმშიც ახლა ვიმყოფებით.

ეს ძალიან სამწუხაროა, ჩვენ არ დაგვიწყია, მაგრამ, ვინაიდან მოვისმინეთ წარმოუდგენელი, შეურაცხმყოფელი ბრალდებები, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ, რომ გავჩუმდეთ, – განაცხადა ხიდაშელმა.

## თამარ ჩუგოშვილი: „პატარა შანსიც არ არსებობს იმის, რომ ქვეყანაში რევოლუციური სცენარი განვითარდეს“



– რაიმე პატარა შანსიც არ არსებობს იმის, რომ ქვეყანაში რევოლუციური სცენარი განვითარდეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ ჩუგოშვილმა 23 სექტემბერს გამოქვეყნებული ჩანაწერების კომენტირებისას განუცხადა, რომელშიც ნაციონალური მოძრაობის წევრები ფიგურირებენ და გარკვეულ არეულობაზე საუბრობენ.

მისი თქმით, საქართველო ღირსეული, დემოკრატიული არჩევნების გზით გაივლის ამ პერიოდს.

– მე არ ვიცი, რამდენად ავთენტურია ეს ინფორმაცია. რთულია კომენტარის გაკეთება, როდესაც ინფორმაციის ავთენტურობა არ არის დადასტურებული. თუმცა პირველად არ ხდება, როცა ამ ტიპის შეთქმულებებზე მიდის საუბარი.

ჩვენ მოგვისმენია გარკვეული საუბრები, რომლის ავთენტურობაც დადასტურდა, ამიტომ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ასეთი მოსაზრებები სადღაც მუსირებდეს, თუმცა ქვეყანაში არ არსებობს პატარა შანსიც რაიმე მსგავსი სცენარის განხორციელების.

ვერანაირი რევოლუცია ქვეყანაში ვერ მოხდება. ჩვენ დემოკრატიული არჩევნების გზით გავივლით ამ პერიოდს, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „ოთხი წლის წინ ბევრად უარესი საარჩევნო გარემო იყო“

ნონა ცაბაძე

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო გარემოს დადებითად აფასებს და მას დემოკრატიულს უწოდებს.

ამერიკის ელჩის განცხადებების შესაფასებლად „ახალი თაობა“ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალისტ **თორნიკე შარაშენიძეს** ესაუბრა.

***— ბატონო თორნიკე, როგორია თქვენი შეფასებები? როგორი წინასაარჩევნო გარემოა ქვეყანაში?***

— ნორმალურ ვითარებაში მიდის, მით უმეტეს, ოთხი წლის წინანდელთან შედარებით. საკმაოდ მშვიდი ვითარებაა. ყველა ტელევიზია, ისინიც, ვინც ხელისუფლების მიერ კონტროლდება, მაინც აშუქებენ ოპოზიციის აქტივობებს და ოპოზიციური არხი რუსთავი 2-ის სახით ძალიან ძლიერია. აქედან გამომდინარე, დასკვნაც ასეთია, რომ გარემო მშვიდი და დემოკრატიულია.

***— მაშინ, რატომ არიან ნაციონალები ასეთი კრიტიკულები? მათ არც საარჩევნო გარემო მოსწონთ და არც ქვეყანაში არსებული ვითარება.***

— ოპოზიცია იმისაა, რომ აკრიტიკოს მთავრობა. სხვანაირად როგორ უნდა იყოს?! ოთხი წლის წინ ბევრად უფრო უარესი საარჩევნო გარემო იყო, დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ უარესი, მაგრამ ოპოზიცია აკრიტიკებდა ნაციონალებს ასჯერ უფრო მწარედ! ეს ჩვეულებრივი ამბავია.

***— დღეს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ იან კელი აქტიურად ერევა საქართველოს საშინაო პოლიტიკაში, რომ „ოცნების“ სიაც მასთან შეთანხმებით შედგა. რამდენად ეთანხმებით ამ შეფასებას?***

— არა, მე არ მჯერა ამის! სისულელეა ეს ყველაფერი! ეს იმის მოგონილია, ვინც ქადაგებს, რომ ბოროტი ამერიკელები, მასონები, სოროსელები და იელოველები მართავენ მსოფლიოს ჩუმად. ეს არის ჩვეულებრივი შეთქმულების თეორია და სერიოზულად არ უნდა განვიხილოთ.



***— კვირიკაშვილის ვიზიტის შესახებ რას იტყოდით? დადებითად და წარმატებულად ფასდება მისი ვიზიტი.***

— მისი გამოსვლის შინაარსი თავიდან ბოლომდე არ ვიცი, თუმცა ვიცი, მან ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ ციხეებში წამება იყო და ასე შემდეგ. კი, გასაგებია, რომ ამბობს, ციხეებში წამება იყო და ეს ჩვენ გამოვასწორეთო, მაგრამ სახელმწიფო როცა იბრალებს, რომ ციხეებში წამება ჰქონდა, რომ ტერაქტს ამზადებენ მისი მოქალაქეები, ეს სახელმწიფო სერიოზულად ვერ იქნება აღქმული.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ყველა ცდილობს, დამალოს თავისი ნაკლოვანებები. როცა ვინმეს ციხეებში წამება აქვს, პირიქით ამბობს, რომ წამება არ აქვს. როცა ვინმეს ტერორისტები ჰყავს, ცდილობს, რომ დამალოს. ესენი გამოხტნენ და გამოამზეურეს, ციხეში წამება გვქონდა, ტერორისტები დავიჭირეთო. ეს არის სიბრიყვე!

***— ხელისუფლება აპელირებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, რომ დღეს ყველაფერი გამოსწორდა და ეს არის სიბრიყვე?***

— კი, გავიგე, მაგრამ ოთხი წელი ხელისუფლებაში რომ ხარ და ოთხი წლის თავზე არჩევნების წინ კიდევ იმას რომ ამბობ, წინა ხელისუფლებას ცუდი რაღაცები ჰქონდაო, კაცო, შენ ოთხი წელია ხელისუფლებაში ხარ და რას მელაპარაკები ოთხი წლის მერე, რომ გამოასწორე ძველი ხელისუფლების ცოდვები?! ეს ხომ სისულელეა! სამწუხაროდ, არ ჰყოფნით ინტელექტი. ვერ გასცდნენ ვერაფრით შიდაპოლიტიკურ კინკლაობას, გაეროს ტრიბუნაზეც კი. აი, ეს არის პრობლემა!

***— ცდილობენ, რომ ძველზე აპელირებით გავიდნენ ფონს?***

— რასაკვირველია! ვის რაში აინტერესებს, ოთხი წლის წინ რა ხდებოდა გაეროს ტრიბუნაზე. ღარიბაშვილი რომ გამოვიდა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე და გამოაცხადა, ჩვენ კოჰაბიტაცია გვქონდაო, მაშინ ვერავინ მიხვდა, რას გულისხმობდა ღარიბაშვილი კოჰაბიტაციაში. ვის რაში აინტერესებს შენი შიდაპოლიტიკური კინკლაობა?! „ქართულ ოცნებას“ ვინც ჰყავდა მასშტაბურად



მოაზროვნე ფიგურები, ისინი გაუშვეს.

***— ვის გულისხმობთ?***

— თუნდაც უსუფაშვილს. ვინ დარჩა „ოცნებაში“ მოაზროვნე, ვერ ვხედავ. კი, გასაგებია, რომ კვირიკაშვილი სჯობია ღარიბაშვილს, მაგრამ მასშტაბურობა მასაც აკლია. რესპუბლიკელები შესაძლოა ბევრი რამის გამო არ მოგწონდეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვინ დარჩა „ოცნებაში“?! ჯერჯერობით ნორმალურ ფიგურებს ვერ ვხედავთ. იქ არის სერიოზული საკადრო შიმშილი. ძალიან დიდი დეფიციტია სერიოზული პოლიტიკოსების!

***— მშვიდი ვითარებაა, დადებითად ფასდება გარემო, მაგრამ ხელისუფლება მაინც აპელირებს დესტაბილიზაციაზე, მოსალოდნელ საფრთხეებზე. მშვიდობის მემორანდუმი გამოქვეყნდა, თუმცა ოპოზიციის დიდი ნაწილი მასზე ხელმოწერას არ აპირებს. უნდა მოეწეროს ხელი ოპოზიციის მხრიდან?***

— მიჭირს ამაზე საუბარი. შესაძლოა, ოპოზიციას აქვს სათქმელი, რომ თავად ხელისუფლებამ მოაწყო პროვოკაციები და ძალადობაც თვითონ ხელისუფლებამ შემოიტანა, ამიტომაც არ აწერენ ხელს. თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც კარგი ინიციატივაა ამ ხელისუფლების მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა თვითონ დაუშვა და მერე სხვას დააბრალა. შიგნით რა ხდება, არ ვიცი, გარედან რომ ვუყურებ, კარგი ინიციატივა მეჩვენება.

***— ნაციონალურ მოძრაობას რამდენად აწყობს მშვიდი ვითარება? ამბობენ, რომ სწორედ ეს ძალა გეგმავს დესტაბილიზაციას. ამაზე რას იტყვით?***

— ნაციონალური მოძრაობა ვერ მოაწყობს დესტაბილიზაციას, თუ ხელისუფლება არჩევნებს ნორმალურად და სამართლიანად ჩაატარებს. ამ სიტუაციაში დესტაბილიზაცია გამორიცხულია. არც ასეთი გიჟები ჰყავთ ნაციონალებს. რომ ნახავენ, ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს, არეულობის მოწყობას არავინ ეცდება. სხვებისგან განსხვავებით, ამ პარტიაში ნორმალური და მოაზროვნე პოლიტიკოსები არიან.

***— დასჭირდება ხელისუფლებას გაყალბებაზე წასვლა?***

— სამწუხაროდ, ეს გამორიცხული არ არის.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ივანიშვილი ოპოზიციას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ აერთიანებს“

ნათია ხურცილავა







პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო ვახტანგ, ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილსა და რესპუბლიკელებს, დავით უსუფაშვილს შორის დაპირისპირება რამ გამოიწვია?***

— ცუდი მიმართულება აიღო ამ ყველაფერმა და საკმაოდ სახიფათოც არის მოვლენების ასე განვითარება. ამ ვითარების ზოგადი შეფასება ასეთია: 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა მთელი ოპოზიციის გაერთიანება შეძლო ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ახლა ივანიშვილი მთელ ოპოზიციას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ აერთიანებს. მაშინ მან შეძლო, რომ შუა გაეკრიფა, მაგრამ ახლა ეს არ გამოვა.

***— ფიქრობთ, რომ მიზანი სწორედ ეს არის, რომ შუა გაიკრიფოს და ორპარტიული არჩევანი დარჩეს, ნაციონალები და „ოცნება“ ერთმანეთის პირისპირ?***

— დიახ, მთელი პოლიტიკა სწორედ ეს არის, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია, ვერ გამოვა, რადგან სულ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო მაშინ. ახლა ქვეყანაში სულ სხვაგვარია პოლიტიკური ვითარება. ბიძინა ივანიშვილმა კარგად იცის, რომ ნაციონალური მოძრაობა გადალახავს ბარიერს და შევა, მაგრამ, რაც ნაკლები პარტია შევა პარლამენტში, მით უარესია „ქართული ოცნებისთვისაც“ და ქვეყნისთვისაც.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ქუჩას ვერ ავცდებით და ეს ძალიან ცუდია ქვეყნისთვის. განაწყენებული პოლიტიკური პარტიები სხვადასხვა მიზეზით გამოვლენ ქუჩაში და ეს უკვე არასასურველი პოლიტიკური გარემო იქნება.

ივანიშვილის ამოცანა „ქართული ოცნების“ ძლიერი პოლიტიკური ფიგურებით დაკომპლექტებაა. წარმომავლობას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან პარტიაში გადასვლა შესთავაზა არა მხოლოდ უსუფაშვილს, არამედ ბაქრაძესაც. მისი ამოცანაა, რომ „ქართული ოცნება“ გააძლიეროს. როგორც ჩანს, ამაზე ვერ დაითანხმა უსუფაშვილი, ვერც სხვები და შეტევაზე გადავიდა.

***— პარლამენტში მხოლოდ ორი ძალის, ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ პირისპირ დარჩენა ერთსაც აწყობს და მეორესაც?***

— დიახ, ორივე ძალას აწყობს. ეს სტრატეგია აირჩია „ოცნებამ“ და გასაგებია, ეს არც დანაშაულია და არც სხვა რამ, მაგრამ, როდესაც ხარ ივანიშვილი, ამ მეთოდის გამოყენება მიუღებელია, სხვაგვარად შეეძლო მოქმედება. პოლიტიკაში არ ვმონაწილეობო, მაგრამ, რასაც მთელი ეს კვირები აკეთებს, სხვა რა არის, თუ არა პოლიტიკა? გასაგებია, რომ ის არის მისი პირმშო პარტიის გულშემატკივარი და მხარდამჭერი, მას უნდა, გაიმარჯვოს იმ პარტიამ, რომლის დამფუძნებელიც თვითონ არის. ასევე არაფერია უცნაური იმაში, რომ „ქართული ოცნება“ იბრძვის იმისთვის, რომ ყველაზე მეტი მანდატი მიიღოს და თვითონ იყოს გამარჯვებული. ეს არის ამოცანა, მაგრამ ეს უნდა იყოს სამართლიანობის ჩარჩოში.

„ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავსო – ალტერნატივა ივანიშვილს არ ჰყავს, თორემ „ქართულ ოცნებას“, რამდენიც გინდათ, იმდენი ალტერნატივა ჰყავს. „ქართულ ოცნებას“ ალიანსი დღეს ნამდვილად არ სჭირდება, რადგან მას სახელისუფლებო ბერკეტი აქვს ხელთ, მაგრამ ჩვენ წინ გვიდევს 25-წლიანი მწარე გამოცდილება, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. კარგია, რომ ამ პროცესებში მონაწილეობს ბიძინა ივანიშვილი, რომ არსებობს ძლიერი პოლიტიკური ძალა, მაგრამ წელს ქვევით ოპოზიციისთვის დარტყმის მიყენება არ არის კარგი.

***— უმრავლესობის ლიდერები აცხადებენ, რომ იმ წერილში, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ გაასაჯაროვა, ჩანს, რომ მხოლოდ ორპარტიულ ალიანსს სთავაზობს უსუფაშვილი პრემიერსა და ივანიშვილს. ამაზე უარი მიიღო მან და ამით არის განაწყენებული.***

— სიამოვნებით გავიზიარებდი ამ შეხედულებას, რომ არა ერთი გარემოება: რესპუბლიკელები კოალიციიდან მშვიდად წამოვიდნენ და არცერთ რესპუბლიკელს არცერთი სიტყვა არ დაუძრავს იმაზე, თუ რატომ წამოვიდნენ და რა იყო განხეთქილების მიზეზი. უსუფაშვილი ამ წერილში ითხოვს იმის განხილვას, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ და სხვა პარტიები, ვინც ალიანსში ვართო.

***— ეს პოლემიკა კიდევ გაგრძელდება თუ დაიხურა? ყოფილმა პრემიერმა თქვა, რომ ის არ აპირებს პინგ-პონგის თამაშს.***

— როგორც ჩანს, გარკვეული საზოგადოებრივი განწყობების საფუძველზე თემა დაიხურა. თუ ივანიშვილი გადაწყვეტს, რომ დაიხურა, დაიხურება. თავისუფალ საზოგადოებაში, არა მგონია, მსგავსი გამოსვლები მომგებიანი იყოს.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „5 ოქტომბერს სააკაშვილი სარფში იქნება“

## უკრაინული ვიკილიქსი: „სააკაშვილი საქართველოში რევოლუციას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი



არჩევნების წინ ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი შესაძლოა აჭარა გახდეს. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სარფის გავლით აპირებს საქართველოში შემოსვლას.

ამ მიდამოებში ყოფილი პრეზიდენტის გამოჩენას 5 ოქტომბერს ელიან. ამ დღეს სააკაშვილი ნაციონალებისთვის აპირებს თათბირის ჩატარებას. სარფში თათბირები მას სხვა დროსაც ჩაუტარებია. ახლა თათბირს სავარაუდოდ სულ სხვა გაგრძელება მოჰყვება. მისი მეუღლე სანდრა რულოვსი აცხადებს, რომ არჩევნების დღეს ყოფილი პრეზიდენტი საქართველოში იქნება.

სამშობლოში დაბრუნებაზე ბოლი პერიოდში ძალიან ბევრს საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ფოტო, სადაც სტილისტი მას თმებს აჭრის. ნაპრეზიდენტალი ამბობს, რომ სამშობლოში დასაბრუნებლად ლამაზდება.

მის დაბრუნებაზე ბევრს საუბრობენ ნაციონალურ მოძრაობაშიც. მას „ქართული ოცნებაც“ გულისფანცქალით ელოდება და პრევენციული ზომების მიღებაც გადაწყვეტილი აქვს. „ქრონიკა +“-ის რედაქტორი ელისო კილაძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხელისუფლება სარემონტო სამუშაოების ჩატარების მომიზეზებით სარფის საბაჟოს ჩაკეტვას აპირებს.

სააკაშვილის სამშობლოში შესაძლო დაბრუნებაზე ბევრს საუბრობენ უკრაინაშიც. უკრაინულმა ვიკილიქსმა გამოაქვეყნა მორიგი მასალა, სადაც მიხეილ სააკაშვილის აკაკი ბობოხიძესთან, ირმა ნადირაშვილთან, გიგა ბოკერიასთან, ნუგზარ წიკლაურთან და გიორგი ვაშაძესთან საუბარია გაშიფრული.

ვიკილიქსის გამოქვეყნებულ მასალას უცვლელად გთავაზობთ.

* * *



**მიხეილ სააკაშვილი:** არჩევნები, როგორც ვუყურებ, წაგებისკენ მიდის, ამიტომ მხოლოდ რევოლუციური სცენარი გვჭირდება! რევოლუციური მუხტი არ არის ეხლა საერთოდ, მუხტი თუ არ იქნა, გადატრიალება გამორიცხულია. აგერ კაკო სულ წუწუნებს, გაურკვევლობაში და უმოქმედოდ ვართო, აი იმუშავეთ მუხტზე, ამაზე კაი მიმართულება რა გინდათ.

**კაკო ბობოხიძე:** გეთანხმებით, მით უმეტეს, მაგის მეტი რა ვიცი. მე მზად ვარ! 90-იან წლებში რამდენჯერ გავაკეთეთ და 2003-ში კი რაც გავაკეთე, ხომ გახსოვს, მიშა! გამომიყენეთ, ძმაო, დავგეგმოთ დეტალები და ორგანიზებას მე გავქაჩავ!

**სააკაშვილი:** ხოდა, დაიწყეთ მერე, დრო აღარ იცდის. კაკო, მე შენს ინტუიციას ვენდობი. ითანამშრომლეთ სხვა პარტიებთან, ინაშვილი, კუკავები, კაციტაძეები, თუნდაც ის ბოჩოლა ალასა გამოიყენეთ, ბიძინას ხელშია ყველა რესურსი და ძაან გაგვიჭირდება, მაქსიმალურად ყველა უნდა გამოვიყენოთ.

**გიორგი ვაშაძე:** რა ვიცი, მე მაინც ვფიქრობ, რომ, რასაც თქვენ ამბობთ, ახალი სახეები, განახლებული პარტია, ჩემი შტაბის უფროსობის შემთხვევაში, მე ბევრად მეტ შანსს ვხედავ, მე მაინც ვამბობ, რომ თუ სწორედ ვიმოქმედეთ, ხმების აღებას შევძლებთ.

**სააკაშვილი:** მოიცა რა, მოკლედ, ამ მთავრობის დამხობა რომ გადატრიალების გარეშე ვერ მოხდება, ფაქტია, არჩევნების გზით შანსი ნოლია, გიორგი აღარ მითხრა ეხლა კიდე სისულელეები.

**ვაშაძე:** ნუ, მე მაინც ვფიქრობ, რომ...

**სააკაშვილი:** კაი, ნუ გასაგებია, ამიტომ აგერ მელია ფიქრობს სხვანაირად და ეგ ჩაუდგება ზუსტად სათავეში, მოვრჩით ეხლა! ენდიაი კაი იყო გიგა, ჩაგეთვალა, ეხლა ამის არგამოყენება და რა ვიცი... მეტი ასეთი შანსი არ მოგვეცემა.

**გიგა ბოკერია:** კი, მაგ სცენარით მივდივართ რა, სწორი „ფოინთებია“ ეხლა ჩამოსაყრელი.

**სააკაშვილი:** მაქსიმალურად ხალხზე უნდა იმუშაოთ, სულ უნდა იძახოთ, რომ აი ჩამოიშალა მთავრობა, უმრავლესობა ეშლებათ და შანსი აღარ აქვთ, აბა ეს ვითომ ენდიაის კვლევა რაღად გვინდოდა მაშინ....

**ბოკერია:** რა თქმა უნდა, არჩევნების მერე, თავისთავად გამოგვყავს ხალხი ქუჩაში, არჩევნები გაგვიყალბეს და „ფოინთები“ გასაგებია... ნუ მაგის მეტი რა ვიცით. ისე გავაკეთებთ, რომ ყველაფერი ქოცებს დაბრალდეს!

**ბობოხიძე:** თან მაგარი ისაა, რომ კვლევამ ხო მცირედი სხვაობა ნახა, არადა ,,ქოცები“, როგორც ჩანს, გვიგებენ და მაგარი სარწმუნოა, რომ გაგვიყალბეს და ქუჩა ეგრევე – რევოლუცია.

**სააკაშვილი:** ხო, კაკო, მარა მაქამდე ბევრია სამუშაო, ყველაფერი მაგრად უნდა გავთვალოთ...

**ბობოხიძე:** რა თქმა უნდა.

**სააკაშვილი:** ირმა! ,,რუსთავი“ მოიკოჭლებს, უფრო მეტად უნდა იაქტიურონ, ეგ ჩემისა გვარამია რას შვრება? სად დაფრინავს? რა ჭირს მაგ ბიჭს... ვეღარ ვცნობ...

**ირმა ნადირაშვილი:** რუსთავი არაა პრობლემა, ნუ, გვარამია არ ვიცი... პირადში რაღაც.

**სააკაშვილი:** რა დროს პირადია, ნუ გამაგიჟეთ. ნუგზარ! რეგიონები? როგორი განწყობებია? ხო იცი? მაგათ იმედზე უფრო ვართ, თბილისი არასდროს არ იყო ჩვენი, ძაან ბევრი ხალხი დაგვჭირდება, მიტინგები თან რამოდენიმე ქალაქში უნდა გავაკეთოთ და მერე თბილისში შევაერთოთ, ფინანსები არაა პრობლემა, მთავარია ხალხი. მარტო ტელევიზორით კი არა, სოფელ-სოფელ უნდა იაროთ. აზერბონები დაგვეხმარებიან, რაზერა ხო ხოდზეა, წავიდა და რამე.

**ნუგზარ წიკლაური:** განწყობა კაია, ფინანსებიც თუ იქნება, არ უნდა იყოს პრობლემა.

**სააკაშვილი:** გიგა! აღარ უნდა ეხლა ამას ბევრი ფიქრი, ეგრეა რა, სხვა გამოსავალი არაა. შენ მაქსიმალურად ჩართე კანდელაკი და ჩიორა, უფრო მეტად იაქტიურონ ევროპაში... ეს გამოყლევებული ბაქრაძე სადაა ვაბშე, ეგ მკვდარია, პირველ ნომრად უკვე მეეჭვება. ეგაც და სხვებიც თბილისში რომ სხედან, რას მიკეთებენ.

**ვაშაძე:** მე მაინც ვთვლი, რომ გადატრიალება არ არის კარგი იდეა, რომ ვერ მივიყვანოთ ბოლომდე, მაშინ?!

**სააკაშვილი:** გივის ფაქტორიც აუცილებელია, მაგის კონტაქტები უეჭველი დაგვჭირდება, ეს პოლიციელები, ზონდერები, მაგი ყველას იცნობს, აგერ ლევანა გვაზავა და ყოფილებიც აქტიურობენ, ნუ, მოკლედ, მწიფდება ეხლა ყველაფერი, მთავარია შეცდომები არ დავუშვათ, ეს სირ-ქოცები კიდე ხო ხედავთ? შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ჩვენი ხალხი ვინც მაგათთან გვყავს, ყველა უნდა გამოვიყენოთ!

**ბოკერია:** არა, ამათ შევუსრულებთ, შანსი არაა, ფონი უკვე არის, ეხლა კიდე კაი შეხვედრები მექნება ჩვენს დასავლეთელ მეგობრებთან და ნუ რავი... მაგრად მივდივართ.

**ბობოხიძე:** აბა რა, სადაა მაგენის საგულაო, ეს უნიათო დებილები მართლა, ამდენი წელია პოლიტიკაში ვარ და ესეთი უნიათოები მართლა არ მინახავს.

**სააკაშვილი:** უკრაინის იდიოტობამ ცოტა ხელი შემიშალა, მარა ეხლა სრულად მაქეთ გადმოვერთვები, ესეთი შანსი ჩვენ აღარ გვექნება. ეს განახლება საჭიროა, ძველი სახე ახალმა უნდა ჩაანაცვლოს. ხალხს სიახლე უნდა დავანახოთ, ყველანაირი რესურსი უნდა გამოვიყენოთ და ეს საზიზღარი უნდა ჩამოვაგდოთ, დიდი ბრძოლა გველის, რესურსი ამათ ხელშია, ჩვენ მაგრათ უნდა დავდგეთ, მაგათმა ისიც არ იციან, როგორ გამოიყენონ ხელისუფლება. ერთი მიწოლა უნდა და სულ ჩამოიშლებიან!



**წიკლაური:** კარგია, მეტ ყურადღებას თუ მოგვაქცევ, ხალხზე ეგ ძაან მოქმედებს, დამიჯერე.

**ბოკერია:** ერთი შეკრება მერე კიდე უნდა შევიკრიბოთ, დათო მართლა გამოყლევდა. მოკლედ, სცენარით მივდივართ და აღარაფერმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი, გვარამიას შენ თუ დაელაპარაკები, უკეთესი იქნება. უკანალის თამაშს თავი გაანებოს და საქმე აკეთოს!

**სააკაშვილი:** კაი, ნიკას მე მივხედავ, პირადს მივცემ მაგას, რისთვის დავსვით იქ, მოკლედ მუხტზე და ხალხზე ვმუშაობთ სერიოზულად, კაკო, გიგა, ნუგზარ თქვენს იმედზე ვარ. ირმა, შენ თავისთავად! ეხლა იქ წავიდეთ და დეტალებიც განვიხილოთ!

* * *

ნაციონალურ მოძრაობაში უკრაინულ ვიკილიქსში გამოქვეყნებულ მასალას სისულელეს და ივანიშვილის ბოდვას უწოდებენ.

ვიკილიქსში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე თავს ვერც უფლებადამცველთა გაერთიანების თავკაცი ნიკოლოზ მჟავანაძე დებს. ამის მიუხედავად, ის ამტკიცებს, რომ ნაციონალები სააკაშვილის ჩამოყვანას და არეულობას აპირებენ.

– მე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვთქვი „ახალ თაობასთან“ საუბარში, რომ სააკაშვილი საარჩევნოდ სარფში იქნებოდა. ეს ინფორმაცია ახლა უკვე ოფიციალურადაა დადასტურებული. ნაციონალები აღარ მალავენ, რომ სააკაშვილის ჩამოყვანას აპირებენ.

ის სარფში 5 ოქტომბერს შემოვა და თანაპარტიელებს თათბირს ჩაუტარებს. მერე რამდენიმე დღე სარფში დარჩება და არჩევნების დღეს საქართველოში შემოვა, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში მჟავანაძე.

მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთის ხელისუფლების მიმართ ცოტა მკაცრი პოზიცია უნდა დააფიქსიროს.

– თურქეთის ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ამერიკაში მცხოვრები გიულენი დაადანაშაულა. ანკარამ ვაშინგტონს შეუთვალა, თუ ჩვენი მეგობარი ქვეყანა ხარ, მაშინ გიულენი გადმოგვეციო. იმავე თურქეთმა ჩვენც მოგვთხოვა, რომ გიულენის სკოლა დაგვეხურა. თუ სააკაშვილი სარფში ჩავა, თურქეთის ხელისუფლებისგან აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ პასუხი. საქართველოში თურქეთის ელჩი ამბობს, რომ მისი ქვეყანა ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას პატივს სცემს, მაგრამ ეს განცხადება არაფერს ნიშნავს. 1921 წელს ლენინიც ამბობდა, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა, მაგრამ შემდეგ წითელი არმია შემოგვისია, – ამბობს უფლებადამცველი.



მისი თქმით, სარფიდან სააკაშვილი მუხტის აწევის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზეც შემოვა.

– მათ კარგად იციან, რომ არჩევნების გზით ვეღარ დაბრუნდებიან, ამიტომაც არეულობაა საჭირო. ვითარების გასამწვავებლად ყველაზე კარგი საშუალება ძებნილი სააკაშვილის შემოსვლაა. როგორც კი ის საქართველოს ტერიტორიაზე ფეხს დაადგამს, წესით, მაშინვე უნდა დააკავონ და სასამართლოში მიიყვანონ. მეეჭვება ამ სასამართლომ მას პატიმრობა მიუსაჯოს. დაპატიმრების შემთხვევაშიც დაიწყება არეულობა. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ახლავე მიიღოს ზომები, – აღნიშნავს მჟავანაძე.



მჟავანაძის განმარტებით, ნაციონალები რომ რაღაცას აპირებენ, ამაზე ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც მეტყველებს.

– მან განაცხადა, რომ ნაციონალები რამეს თუ დააპირებენ, ხალხი აღარ მოითმენს. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებაც ინფორმირებულია. იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ ნაციონალებს არეულობის მოწყობის უფლებას მისცემს, ხალხი ორივეს გადაუვლის, – ვარაუდობს უფლებადამცველი.

# ლევან ჩაჩუა: „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა პირველ და მეორე ადგილებზე კინკლაობენ“

## „სამართლიანობის აღდგენა თუ უნდოდათ, ეს დიდი ხნის წინ უნდა დაეწყოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს „ქართული ოცნებისთვის“ ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა ნაცმოძრაობის რეჟიმის სისხლიანი მოვლენები გახდა. ქართული იდეის ლიდერი, ყოფილი პოლიტპატიმარი ლევან ჩაჩუა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთთან დაპირისპირებული არ არიან.

**ლევან ჩაჩუა:**

– ბოლო დროს „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის მართლაც გახშირდა კინკლაობა. ეს განპირობებული არ არის მათ შორის არსებული კონფლიქტითა და იდეოლოგიური შეუთავსებლობით. ეს კინკლაობა უკავშირდება მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებსა და პირველი-მეორე ადგილების გადანაწილებას.

***– ნაცმოძრაობის სისხლიან საქმეებს ამისათვის იხსენებენ? მაშინდელი ზოგიერთი საქმის გამოძიებაც სრულდება.***

– სამართლიანობის აღდგენა თუ უნდოდათ, ეს დიდი ხნის წინ უნდა დაეწყოთ. „ქართული ოცნება“ ამის მაგივრად შევიდა დანაშაულებრივ კოაბიტაციაში დანაშაულებრივ პარტიასთან და აქცია ის მთავარ ოპოზიციად. ეს ძალები ძალიან დაემსგავსნენ ერთმანეთს. ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო კანონები ადრე ნაცმოძრაობამ მიიღო, 2012 წლის შემდეგ კი ასეთ კანონებს უკვე „ქართული ოცნების“ უმრავლესობა ამტკიცებს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ანტიდისკრიმინაციული და იუვენალური კანონები. ეს ორივე ძალა ანგარიშვალდებულია ერთისა და იმავე პატრონის წინაშე. „ქართულმა ოცნებამ“, იმის მაგივრად, რომ გაესამართლებინა ნაცმოძრაობის დამნაშავე რეჟიმი, ხელი შეუწყო ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას. ახლა მომავალ პარლამენტში პირველ და მეორე ადგილებს იყოფენ.



***– ამომრჩეველზე არაფერია დამოკიდებული?***

– „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას გარკვეული რაოდენობის მყარი ამომრჩეველი ჰყავთ. ნაცმოძრაობის მომხრედ ითვლება ყველა, ვინც ნაციონალებმა გასვარეს. კომპრომატებით დაჭერილი ადამიანები ნაციონალებს მისცემენ ხმას. ამ პარტიებს არ აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათზე სხვა ამომრჩევლები.

„ქართული ოცნების“ ლოგიკა ასეთია – თუ არ გინდათ ნაცმოძრაობის რეჟიმის დაბრუნება, მაშინ ხმა მოგვეცით ჩვენ. უბედურება ისაა, რომ ასეთ მოწოდებებს სხვებიც მიჰყვებიან. არიან ადამიანები, მათ შორის სასულიერო სფეროში, რომლებიც „ოცნების“ მხარდაჭერას იმიტომ ურჩევენ მოქალაქეებს, რომ მას გამარჯვება გარანტირებული აქვს. რატომღაც არჩევანი უნდა გაკეთდეს ამ ორ ძალას შორის. არადა, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას არცერთი ეს ძალა არ მოსწონს და უნდა, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ქართული ინტერესების გამტარებელი პარტიები.

ბევრს ესმის, რომ გარედან მართული ძალები ქვეყანას კარგ დღეს არ დააყრიან. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი საარჩევნო სია გაავსო ნაციონალებითა და ცისარტყელის დროშების მოფრიალეებით. ხალხს ასეთი კანდიდატები არ უნდა, მაგრამ მასზე ზეწოლაა. ამომრჩევლებს ურჩევენ, ხმა ისევ „ოცნებას“ მისცენ და არა იმ ძალებს, რომლებიც მართლაც მისაღებია და რომლებიც გარედან არ იმართებიან.

ჩვენ საგარეო ფაქტორებს აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში. თანამშრომლობა და დიპლომატიური ურთიერთობა აუცილებელია ყველასთან, მაგრამ არ შეიძლება, მუდმივად ბრმად ასრულებდე სხვების დავალებებს. ასე იქცევიან ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. კოაბიტაციაც ამის შედეგია. ამიტომ პარლამენტში სხვებიც უნდა მოვიდნენ.

***– 3 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ აპირებს, შეფასება მისცეს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების საქმიანობას.***

– ეს პიარაქციაა. როგორც გითხარით, „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის ნამდვილი დაპირისპირება არ არსებობს. ხდება ახალი ადგილების განაწილება. სააკაშვილის რეჟიმმა ბევრი დანაშაული ჩაიდინა. ნაცმოძრაობის ზოგი თანამდებობის პირი პასუხისგებაშია მიცემული, ზოგი გასამართლებულია და ზოგი – ძებნილი. დადგენილია, რომ სააკაშვილის რეჟიმს ჰყავდა 200-ზე მეტი პოლიტპატიმარი. მათ შორის ვარ მეც. ეს საკმარისი იყო ნაციონალური მოძრაობის გასამართლებისა და აკრძალვისთვის. ამის მაგივრად „ოცნებამ“ კოაბიტაცია გამოაცხადა. 3 ოქტომბერს რა უნდა შეაფასონ?!

***– სააკაშვილის რეჟიმი და ნაცმოძრაობა რომ გასამართლებულიყო, სხვა სიტუაცია იქნებოდა?***

– რა თქმა უნდა. თუ ადრე ალმაშფოთებელი იყო ნაცმოძრაობის მთავარ ოპოზიციურ პარტიად გამოცხადება, ახლა უარესი ხდება – სააკაშვილის პარტია ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებს. რეჟიმი რომ გასამართლებულიყო, არ იქნებოდნენ დაწინაურებული დამნაშავეები.

ასეთია ჩემი საქმის პროკურორი გიორგი მიქაია. ამ კაცის დანაშაულებრივი გადაწყვეტილებით ტყუილად გამიშვეს საპყრობილეში. მას პასუხი კი არ მოსთხოვეს, არამედ, დააწინაურეს. ჩემი საქმე გახმაურებული იყო. ადვოკატად მანანა კობახიძე მყავდა, მაგრამ მისმა გავლენებმაც ვერ უშველა ამ უსამართლობას.

***– ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნების შესაძლებლობა ახსენეთ. ეს პარტია ძლიერდება?***

– ძლიერდება და ფართოვდება. ნაცმოძრაობის იმ მომხრეებისათვის, რომლებზეც იმოქმედა ციხის კადრებმა და სხვა ფაქტორებმა, შეიქმნა ნაცმოძრაობის განშტოებები, მაგალითად, გირჩი და ვაშაძის პარტია. ამ კატეგორიის ამომრჩევლებს არწმუნებენ, მხარი დაუჭირონ ამ არამოძალადე ნაციონალებს. ეს ხდება იმიტომ, რომ ნაცმოძრაობამ არცერთი ხმა არ დაკარგოს. მაქვს ინფორმაცია, რომ გირჩისა და ვაშაძის გამოყოფას ხელი შეუწყო ბიძინა ივანიშვილმა. სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილი არჩევანში შეცდა.

***– ანუ მას კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა, რომელიც საბოლოოდ არ გაამართლებს?***

– სამწუხაროდ, ეს ასეა. ბიძინა ივანიშვილს მაშინაც კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა, როცა მარგველაშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად აყენებდა, როცა ნარმანიას გვთავაზობდა მერად ან როცა მოჰყავდა მინისტრები, რომლებმაც, პრემიების გამოწერის გარდა, არაფერი გააკეთეს.

# სკანდალი სოხუმის მთავრობაში

## ხაჯიმბამ საგარეო საქმეთა მინისტრი ურჩობისთვის დასაჯა

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში დიდი ამბებია. ოპოზიციის გარდა, რესპუბლიკის მეთაურს მთავრობის წევრებიც დაუპირისპირდნენ. რაულ ხაჯიმბას წინააღმდეგ აფხაზური დიპლომატიის მამამ ვიაჩესლავ ჩირიკბამ გაილაშქრა, რაც მას თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. თავად ნამინისტრალი ამბობს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი საკუთარი სურვილით მიატოვა.

ამ მიმართულებით პირველი სკანდალი 20 სექტემბერს აგორდა. იმ დღეს ვიაჩესლავ ჩირიკბა ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

მან საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ამცნო, რომ შექმნილ ვითარებაში ვერ ხედავს შესაძლებლობას, განაგრძოს მუშაობა საგარეო უწყების ხელმძღვანელის პოსტზე. მან იმედი გამოთქვა, რომ მისი წასვლის შემდეგ აფხაზეთი საგარეო პოლიტიკურ გეზს არ შეიცვლის.

აფხაზური დიპლომატიის მამას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მეორე დღეს უპასუხეს. რაულ ხაჯიმბას პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც წერია, რომ

მინისტრთა კაბინეტის დაშლის შემდეგ ჩირიკბა საგარეო საქმეთა მინისტრად აღარ დანიშნეს.

მოსახსნელად ეს ტკბილი და მურაბა ადამიანი მხოლოდ იმიტომ გაიმეტეს, რომ მან უარი თქვა დნესტრისპირეთში გამგზავრებაზე, სადაც არაღიარებულები დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდნენ. ნამინისტრალმა იქ წასვლაზე უარი დეპორტაციის შიშის გამო განაცხადა – დნესტრისპირეთში მოსახვედრად დელეგაცია კიშინიოვში უნდა ჩაფრენილიყო.

ჩირიკბა სამართლიანად იყო შეშინებული, რადგან გასულ წელს ის სხვა აფხაზებთან ერთად დეპორტით გამოისტუმრეს. ხაჯიმბას პრესსამსახურის ცნობით, ჩირიკბას ეშინოდა, რომ კიდევ ერთხელ მიიღებდა დეპორტს და ამის გამო ევროპაში პრობლემები შეექმნებოდა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებას ჩირიკბამ წერილით უპასუხა და თანამდებობიდან წასვლის მისეული ვერსია მოყვა.

– პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ჩემი მინისტრის თანამდებობიდან ჩამოშორება გადაწყვეტილი იქნა ამ მოვლენებამდე ერთი თვით ადრე და ამ თარიღის შემდეგაც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ მათი შერჩეული კანდიდატებიდან ვინმე დათანხმებოდა მინისტრის პოსტის დაკავებას. შერჩეული კანდიდატების მხრიდან მოულოდნელად თქმულმა უარმა აიძულა ისინი, რომ ჩემი გათავისუფლება გადაედოთ, – აღნიშნავს ექსმინისტრი.

ის ადასტურებს, რომ დნესტრისპირეთში წასვლა არ მოისურვა. ამის მიზეზს კი ასე განმარტავს:



– ჩემთან დაკავშირების გარეშე პრეზიდენტმა თავისი პროტოკოლის ხელმძღვანელის მეშვეობით დამავალა დნესტრისპირეთში წასვლა, ჩემს მიღებაზე კი ისევ უარი განაცხადა. პასუხი მდივნის მეშვეობით შემომითვალა. დაგეგმილ ვიზიტამდე ერთი დღის წინ სერიოზული ჰიპერტონიული შეტევა მომივიდა. ამ სიტუაციაში მე ვერ წავიდოდი ვიზიტად, რადგან მგზავრობა რამდენიმე გადაფრენას ითვალისწინებდა.

ჩირიკბა ამბობს, რომ რამდენჯერმე ცადა ხაჯიმბასთან დაკავშირება, რათა ის პირადად ჩაეყენებინა საქმის კურსში. როდესაც ყველა მცდელობა ამაო გამოდგა, მან თავად მიიღო გადაწყვეტილება.

– მე ჩემს მოადგილეს ვთხოვე, წასულიყო დნესტრისპირეთში. ამას ცოტა ხანში მოჰყვა პრემიერ-მინისტრის ზარი. მან არ გაითვალისწინა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა და უხეში ტონით თვითნებობაში დამადანაშაულა. ამ საუბრის შემდეგ ჩემი მდგომარეობა გართულდა. თანამშრომლებმა ექიმები გამოიძახეს. მათ დაადასტურეს, რომ მდგომარეობა ახლოს იყო ჰიპერტენზიულ კრიზთან, – აცხადებს ჩირიკბა.

მისი განცხადებით, პრემიერს უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო საგარეო საქმეებში. ნამინისტრალის განმარტებით, რესპუბლიკის საგარეო კურსი პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ეხება.

წნევის დარტყმას გადარჩენილი ჩირიკბა ამბობს, რომ არ იცის, სინამდვილეში რატომ გაუშვეს და ამ მიზეზებზე მედიამ განმარტებები პრეზიდენტს, პრემიერსა და მათ მრჩევლებს უნდა მოჰკითხოს.

– პრემიერთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ რამდენჯერმე ვცადე პრემიერთან და პრეზიდენტთან შეხვედრა. ისინი ჩემს იგნორირებას აგრძელებდნენ და მეც იძულებული გავხდი, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დამეწერა, – აცხადებს ჩირიკბა.

# როგორია „სახიფათო სამუშაოთი“ დასაქმებული ბავშვების სტატისტიკა?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის ბოლოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა ჩაატარა.



კვლევაში, რომლის მიხედვითაც საქართველოში ბავშვთა შრომაში ჩართულია 5-17 წლის ასაკის ბავშვების 4.2%, ნაჩვენებია ბავშვებისათვის „სახიფათო სამუშაო.“

კვლევის მიხედვით, საქართველოში 15.6 ათასი ბავშვი სახიფათო შრომაშია ჩართული, რაც მთლიანად ბავშვთა შრომის 63.9%-ია, ხოლო მომუშავე ბავშვთა – 46.4%. სოფლის მეურნეობა ბავშვებისთვის ძირითად დასაქმების სფეროს წარმოადგენს, სახიფათო სამუშაოს შემთხვევების უმეტესი ნაწილიც (სახიფათო სამუშაოთი დაკავებული მთლიანი შემთხვევების 73.1%) ამ დარგში გვხვდება.

სახიფათო სამუშაოს უმეტესად ბიჭები ასრულებენ. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 5-15 წლის სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვებიდან 80.7% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ხოლო 16-17 წლის ბავშვებში აღნიშნული მაჩვენებელი 64.6%-ს შეადგენს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სახიფათო შრომაში დასაქმებულ ბავშვთა უმეტესობისათვის (9.0 ათასი ბავშვი) ღამით მუშაობა სახიფათო სამუშაოს განმსაზღვრელი კრიტერიუმია.

5.5 ათასი ბავშვი სახიფათო გარემოში მუშაობს, რაც სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების 35.2%-ია. როგორც კვლევაშია ნათქვამი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ბავშვებს სამუშაო ადგილზე მძიმე ტვირთის ტარება უწევთ. ასეთი ბავშვების წილი სახიფათო სამუშაოთი დაკავებულ ბავშვებში 24.5%-ს შეადგენს. კვლევის მიხედვით მძიმე ტვირთის ტარება უმეტესად ბიჭებს უწევთ.

სახიფათო შრომაში ასევე ჩართულები არიან ბავშვები, რომლებიც ხანგრძლივად მუშაობენ (8.7%), ამუშავებდნენ დანადგარებს/მძიმე ტექნიკას (9.1%) ან ისეთი პროფესიის არიან, რომელიც სახიფათოა ბავშვისათვის (12.7%). კვლევის შედეგების მიხედვით ბავშვებისათვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემა არის მტვერში ან კვამლში მუშაობა.]

აღნიშნულ გარემოში მუშაობა 3.2 ათასს ბავშვს უწევს, რაც სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების 20.7%-ს და სახიფათო გარემოში მომუშავე ბავშვთა 58.9%-ს შეადგენს. 1.6 ათას ბავშვს (სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვების 10.1%-ს) უწევს ხმაურის ან ვიბრაციის ფონზე მუშაობა, ხოლო უკიდურეს სიცხესა ან სიცივეში 2 ათასი ბავშვი მუშაობს (სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვების 12.5%).

კვლევამ მოიცვა დაახლოებით 7.700 შინამეურნეობა, რომელშიც 5-17 წლის ასაკის ბავშვი ცხოვრობს.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლევილის მამული საქართველოს გადმოეცა



საფრანგეთში დაბა ლევილის ტერიტორიაზე ხელი მოეწერა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის აქტს.

პარიზიდან 37 კილომეტრში მდებარე 45.000 კვადრატული მეტრი ფართობის ისტორიული მამულის საქართველოსათვის გადმოცემის აქტს საქართველოს მთავრობის მხრიდან ხელი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ მოაწერა, ხოლო ფრანგული მხარიდან აქტზე ხელმომწერნი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის წევრთა ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ.

ამ პროცესით დასრულდა 25-წლიანი ისტორიული პროცესი და მამული მის კანონიერ მემკვიდრეს, ქართველ ხალხს დაუბრუნდა.

**ინტერპრესნიუსი**

# თსუ-ს რექტორი გია შარვაშიძე გახდა




ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია შარვაშიძე გახდა. გია შარვაშიძე აკადემიურის საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით აირჩიეს.

არჩევნები უნივერსიტეტში 23 სექტემბერს 14.00 საათზე დაიწყო და დაგეგმილზე ადრე დასრულდა.

არჩევნებში მონაწილეობა აკადემიური საბჭოს 36-ვე წევრმა მიიღო.

* * *

– ვაპირებ, ავამაღლო სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯი.

ამის შესახებ გია შარვაშიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ის აპირებს დაიწყოს საქმიანობა იმ კონცეფციის მიხედვით, რომელიც წარუდგინა საბჭოს წევრებს.

– ვაპირებ, რომ დავიწყო საქმიანობა კონცეფციის მიხედვით, რომელიც აკადემიურ საბჭოზე წარვადგინე. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ქმედებები, რომელიც მეცნიერების განვითარებას და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხება. ვაპირებ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯი ავამაღლო, – განაცხადა გია შარვაშიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ალექსანდრე ჯეჯელავა: „თურქული სკოლა ერთად უნდა განვავითაროთ“




– ამ ეტაპზე ის იქნება თურქეთის მოქალაქეებისთვის, შემდეგ – საქართველოს მოქალაქეებისთვისაც. თურქულ მხარესთან გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია, რომ სკოლა ერთად განვავითაროთ.

ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ალექსანდრე ჯეჯელავას თქმით, ბათუმში თურქული სკოლა თავდაპირველად თურქეთის მოქალაქეებისთვის იქნება, ხოლო აკრედიტაციის გავლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებისთვისაც.

– ბათუმის სკოლაზე გარკვეულწილად მესიჯები არასწორად გავრცელდა. ჩვენ ბათუმის სკოლასთან დაკავშირებით კომუნიკაცია თვეებია უკვე გვაქვს. გვქონდა შეთანხმება თურქულ მხარესთან და ეს შეთანხმება ახლაც გვაქვს.

ვესაუბრე ელჩს და გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია, რომ ეს სკოლა განვავითაროთ ერთად. ის იქნება თურქეთის მოქალაქეებისთვის ამ ეტაპზე, შემდეგ ის იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის, მას შემდეგ, რაც გაივლის აკრედიტაციას და გახდება ჩვენი სისტემის ნაწილი, – განაცხადა ჯეჯელავამ.

ახალი სკოლა თურქეთის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული. გახსნის ღონისძიებას თურქეთის განათლების სამინისტროს, ასევე საქართველოში თურქეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არსებული ინფორმაციით, სკოლაში სწავლა ბათუმში მცხოვრები თურქი ოჯახების შვილებს შეეძლებათ. პედაგოგებიც თურქეთის მოქალაქეები იქნებიან. სწავლება თურქულ ენაზე მოხდება, სასწავლო პროგრამა კი თურქეთის განათლების სამინისტროს დაექვემდებარება.

როგორც ინტერპრესნიუსს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განუცხადეს, სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ისინი ინფორმირებული არ ყოფილან.

# 25% მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, 16% — პატრიოტთა ალიანსს

23 სექტემბერს ინტერპრესნიუსის პრესკლუბში გაიმართა WPA-ს კვლევის პრეზენტაცია.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 25% მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, ხოლო 16% – პატრიოტთა ალიანსს.

კვლევის ავტორების მტკიცებით, გამოკითხულთა 12% მხარს ნაციონალურ მოძრაობას უჭერს, 4% – ლეიბორისტულ პარტიას, 3% – ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიულ მოძრაობას, 2% – თავისუფალ დემოკრატებს, 1% – მოძრაობას სახელმწიფო ხალხისთვის, 1% – თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 1% სხვა პარტიებს უჭერს მხარს, 16% არავის, ხოლო 18%-ს გადაწყვეტილი არ აქვს, ვის დაუჭერს მხარს.

WPA-ს აღმასრულებელი დირექტორის, კრის ვილსონის განცხადებით, ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ „ქართული ოცნება“ ლიდერობს ორივე, ძირითადი და განმეორებითი კენჭისყრის შემთხვევაში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათი ამომრჩევლის უმრავლესობა მეორად პარტიად განიხილავს პატრიოტთა ალიანსს.

“ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა უმრავლესობა გახლავთ ახალგაზრდა მამაკაცები, ისევე, როგორც საშუალო განათლების არმქონე, დასაქმებული მოსახლეობა. ქართველთა უმრავლესობა არ მისცემდა ხმას ისეთ პარტიას, რომელსაც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება სურს. აგრეთვე, ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას. საქართველოში უმთავრეს პრობლემად მოსახლეობა მიიჩნევს უმუშევრობას და სამუშაო ადგილების სიმცირეს, – განაცხადა ვილსონმა.

მისივე მტკიცებით, კვლევა კომპანიის ინიციატივით ჩატარდა და მას დამკვეთი არ ჰყავდა.

კვლევა ჩატარდა 7-11 სექტემბერს და მთელი საქართველოს მასშტაბით 1.329 ადამიანი გამოიკითხა.

# 2015 წელს საქართველოში სწავლა 11.200-მა ბავშვმა მიატოვა



2015 წელს საქართველოში მცხოვრებმა 5-17 წლის ასაკის 11.200-მა ბავშვმა სწავლა მიატოვა, რაც ამ ასაკის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 1,9%-ია.

საქსტატის მიერ ჩატარებული ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის თანახმად, აღნიშნული ბავშვების უმრავლესობა – 69,5% დასაქმებული არ არის. არამომუშავე ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც სწავლა მიატოვეს, 1.4%-ია. კვლევის მიხედვით, მომუშავე ბავშვების ანალოგიური მაჩვენებელი (10.1%) 7-ჯერ აღემატება წინა ციფრს. კვლევაში ნაჩვენებია, რომ სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში აღნიშნული მაჩვენებელი 16.1%-ს უტოლდება.

5-17 წლის ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიარულის შეწყვეტის 14 მიზეზიდან 2 ძირითადი გამოიკვეთა: 1. 26.8%-მა სწავლის შეწყვეტის მიზეზად სავალდებულო განათლების (9 კლასის) დამთავრება დაასახელა. 2. 21.5%-ის პასუხი კი ასეთი იყო – დაინტერესებულები არ არიან სწავლით ან სწავლაში ძალიან სუსტები არიან.

5-17 წლის ბავშვების ყველაზე მაღალი წილი, ვინც სწავლა მიატოვა, გვხვდება ბავშვებში, რომლებიც მხოლოდ მუშაობით არიან დაკავებულები (13.9%). ასევე, მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი დასაქმებული და თან საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვებისთვის (8.8%).

**ინტერპრესნიუსი**

# განახლებული 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში ნოემბრიდან გამოვა

2016 წლის პირველი ნოემბრიდან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევაში 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვა და მიმოქცევაში ძველი ემისიების ბანკნოტებთან ერთად იქნება.




100 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტზე შენარჩუნებულია კარგად ნაცნობი, ლარის ბანკნოტების თავდაპირველი თემატიკა, ამავდროულად ბანკნოტზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით.

– განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისთვის მარტივად აღქმადი და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

100 ლარის ნომინალის ბანკნოტები 20 და 50 ლარის ნომინალის ბანკნოტებთან ერთად განახლდა. 20 და 50 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაშია 2016 წლის 1 თებერვლიდან.

5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები განახლდება მოგვიანებით.

**ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ პატარაძე ნაცმოძრაობას ურჩევს, შეწყვიტონ წინასაარჩევნო ხრიკები



აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ნაციონალურ მოძრაობას ურჩევს, შეწყვიტონ „წინასაარჩევნო ხრიკები“.

საქმე ეხება 23 სექტემბერს გამართულ ბრიფინგს, სადაც ნაციონალური მოძრაობა საინვესტიციოდ მიმზიდველი სამი ადგილის გაყიდვის დროს ზურაბ პატარაძის მხრიდან „კორუფციული ნიშნების“ არსებობაზე საუბრობდა.

ზურაბ პატარაძე ოპოზიციონერების განცხადებას პოპულისტურს უწოდებს და წინასაარჩევნოდ პიარკამპანიის ნაწილად აფასებს.

მისი თქმით, ტერიტორიების გასხვისების დროს კანონის ფარგლებში მოქმედებდა.

– ჩვენი პასუხი იქნება პირველ რიგში საქმე, მეტი ინვესტიციების მოზიდვა რეგიონში, მეტი ინფრასტრუქტურული პროექტები, ჩვენ რაც შევპირდით ხალხს, იმას ვაკეთებთ და ვასრულებთ დაპირებებს.

ვფიქრობ, უნდა შეწყვიტონ პოპულისტური განცხადებები ჩვენმა ოპონენტებმა. ეს არის წინასაარჩევნო ხრიკები. ჩვენ არ ვეთანხმებით ამას, ვაშენებთ ქვეყანას, თუ ვინმეს აქვს პრობლემა, შეუძლიათ მიმართონ კანონს, – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის რამაზ ბოლქვაძის განცხადებით კი, მახინჯაურში პანსიონატი მზიური და გოგირდის აბანოების ყოფილი ტერიტორიები ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას 1 ლარად გასხვისდა, სადაც წლების განმავლობაში დაანონსებული ინვესტიციები არ განხორციელებულა.

რამაზ ბოლქვაძის განმარტებით, საინვესტიციო პროექტი მახინჯაურში 1 ლარის ნაცვლად მოქმედი მთავრობის პირობებში 3 მლ. 900 ათას ლარად გაიყიდა.

* * *

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატებმა ბრიფინგი გამართეს და სამართალდამცველებს 14 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტით დაინტერესებისკენ მოუწოდეს. პარტიის წევრის მირდატ ქამადაძის განცხადებით, პირდაპირი მიყიდვის წესით აჭარის მთავრობამ გაასხვისა სამი მნიშვნელოვანი ობიექტი, რაშიც კორუფციული ნიშნები იკვეთება.

ქამადაძე ამბობს, რომ მსხვილი ინვესტიციის პოტენციალის მქონე ობიექტები მხოლოდ აუქციონის წესით და ძვირად უნდა გაიყიდოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ამერიკის კონგრესმა უკრაინის მხარდამჭერი კანონპროექტი მიიღო



რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დასავლეთის მზარდ შეშფოთებას იწვევს. ამერიკის კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ ამას ცალკე სხდომა დაუთმო. ვრცელი მოხსენებით კონგრესმენი ნიუ იორკის შტატიდან ელიოტ ენგელი გამოვიდა.

მან წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც რუსეთის მიმართ ახალი ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. ის განსაკუთრებულ სიახლეს არ შეიცავს. კანონპროექტში ჩამოთვლილია ღონისძიებები, რასაც აშშ რუსეთის წინააღმდეგ უკვე ატარებს, თუმცა მათ უფრო კონკრეტული და სისტემატური ხასიათი ეძლევათ.

კანონპროექტი ოფიციალურ ვაშინგტონს უკრძალავს ყირიმის რუსეთთან შეერთების კანონიერების აღიარებას, რუსეთის მიმართ სანქციების შემცირებას ან გაუქმებას. კანონპროექტი ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რაც ართულებს დაწესებული სანქციებისთვის გვერდის ავლას და ა.შ.

გათვალისწინებულია ასევე ღონისძიებები რუსული პროპაგანდის გასანეიტრალებლად.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ უკრაინაში თავისუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს და აუცილებელია უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება.

— თავის შეკავება უკვე ამორალობაა, — თქვა ენგელმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარს უჭერს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე პრეზიდენტმა უნდა მიიღოს.

ობამა აქამდე ლეტალური იარაღის მიწოდების კატეგორიულ წინააღმდეგი იყო. უკანასკნელი მოვლენების შედეგად (გამწვავება სირიაში) პრეზიდენტის პოზიცია ნელნელა იცვლება.

— უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხი ამჟამად შესწავლის პროცესშია, — განაცხადა კარტერმა.



კანონპროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე სპეციალური ღონისძიებები, რომელთა დანიშნულებაც უკრაინაში ინვესტიციების მოზიდვაა. კერძოდ, საუბარია საერთაშორისო კონსორციუმის შექმნაზე, სადაც შევლენ აშშ-ის მთავრობა, რიგი კერძო ფირმები და ა.შ.

კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. ახლა სიტყვა სენატზეა. თუკი მან კანონპროექტი მოიწონა, მას ხელმოსაწერად პრეზიდენტს წარუდგენენ.

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ კონგრესმენებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მან გამოთქვა იმედი, რომ მომავალშიც უკრაინა-აშშ-ის ურთიერთობები მჭიდრო და მეგობრული იქნება.

— ამერიკა ჩვენი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მოკავშირეა, — განაცხადა პოროშენკომ.

## ჰოლანდია უკრაინის წინააღმდეგ

ჰოლანდიის პრემიერმა მარკ რიუტემ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის პარლამენტი უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიცირებას არ მოახდენს.

— ჩვენმა ხალხმა რეფერენდუმზე ამას მხარი არ დაუჭირა, — აცხადებს რიუტე.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, რიუტემ აღნიშნული განცხადება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერის თხოვნით გააკეთა. შტაინმაიერი ცდილობს, აიძულოს უკრაინელები, დათანხმდნენ დონბასში არჩევნების ჩატარებასა და რეგიონისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას.




## რუსეთის საგარეო დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს



ვლადიმერ პუტინმა მორიგი საკადრო გადაადგილება განახორციელა. საგარეო დაზვერვის შეფი ფრადკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამიერიდან იგი რუსეთის რკინიგზების დირექტორთა საბჭოს უხელმძღვანელებს. საგარეო დაზვერვის ახალ უფროსად სახელმწიფო დუმის ყოფილი სპიკერი ნარიშკინი დაინიშნა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამით გადაიდგა პირველი ნაბიჯი სპეცსამსახურების რეორგანიზაციისა და საგარეო დაზვერვის ფსბ-სთან შერწყმის მიმართულებით.

## ავღანეთის მთავრობამ პარტიზანებთან სამშვიდობო შეთანხმება გააფორმა




ქაბულში ავღანეთის ხელისუფლებასა და ისლამურ პარტიას (ლიდერი გიულბედინ ჰეკმათიარი) შორის სამშვიდობო შეთანხმება დაიდო. თანახმად ამ შეთანხმებისა, ისლამური პარტია იღებს ვალდებულებას, რომ ყოველგვარი ექსტრემისტული და მილიტარისტული საქმიანობა შეწყვიტოს. სანაცვლოდ მთავრობა მათ ხელშეუხებლობის გარანტიებს აძლევს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## რუსებმა ალეპოში ფოსფორის ბომბები ჩამოყარეს



ჯონ ქერის წინადადებას, სირიაში სამხედრო ავიაციის ფრენები უნდა აიკრძალოსო, კრემლი აგრესიულად შეხვდა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა:

— თქმა ადვილია, განხორციელება — ძნელი!

ამის შემდეგ რუსეთის ავიაციამ ალეპოს მასირებული დაბომბვა დაიწყო. ქალაქზე ფოსფორის ბომბები ჩამოყარეს. დაღუპულია 50-მდე ადამიანი, 100-ზე მეტი დაიჭრა. დაიბომბა ალეპოს ის რაიონები, რომლებსაც პარტიზანები აკონტროლებენ. რუსული დაბომბვის შემდეგ მოსკოვის მოკავშირემ, სირიის დიქტატორმა ასადმა ალეპოში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ გამოაცხადა.

— მოგიწოდებთ ალეპოს ყველა მცხოვრებს, შინიდან არ გამოვიდეს, — განაცხადა ასადმა.

მიუხედავად ამისა, ამერიკელები მაინც განაგრძობენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მცდელობებს. ჯერჯერობით ეს ამაოა. ქერი-ლავროვის მორიგმა შეხვედრამ შედეგები ვერ მოიტანა.

— აშშ ერთადერთი მხარეა, რომელსაც სირიაში მშვიდობა სურს, — თქვა ქერიმ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა ,,იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .
- ალკოჰოლიზმისადანარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**მკურნალობა მამაკცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".



# როგორ ამოვიცნოთ ყივანახველა

ყივანახველა მწვავე ინფექციური დაავადებაა. ინფექციის წყაროა ავადმყოფი, რომელიც იმყოფება დაავადების ადრეულ ფაზაში. ყივანახველა გადაეცემა ჰაერ–წვეთოვანი გზით.

ყივანახველათი ხშირად ავადდებიან ბავშვები, განსაკუთრებით 2-4 წლის ასაკში. დაავადებულ და ჯანმრთელ ბავშვებს შორის ახლო კონტაქტი, შეჯგუფება, ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას.

აღინიშნება ყივანახველის როგორც ერთეული შემთხვევები, ასევე აფეთქებები. ყივანახველის განვითარების ალბათობა მატულობს წელიწადის ცივ და ნესტიან დროს.

ინფექციია ზედა სასუნთქ გზებში იჭრება, სადაც ვეგეტირდება ყივანახველას ჩხირი.

გამომწვევი პირველ რიგში მოქმედებს ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე და იწვევს მის ანთებას დაავადების ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაზე. მოგვიანებით, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ტოქსიკური ზემოქმედების, სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის, ორგანიზმის ალერგიული მდგომარეობის შედეგად ვითარდება კრუნჩხვითი ხველების შეტევები.

მძიმე ფორმების დროს ვითარდება ჰიპოქსია. ყივანახველის პათოგენეზში გარკვეულ როლს ასრულებს ალერგიული მექანიზმები.

ყივანახველის სიმპტომები, მიმდინარეობა. ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ შეადგენს 5-7 დღეს. დაავადება იწყება საერთო სისუსტით, შეუძლოდ ყოფნით, ხმის ჩახლეჩით, სურდოთი და ხველებით.

კატარალური მოვლენები ვითარდება 4-5 დღის განმავლობაში; მშრალი ხველა ფილტვებში დიდი რაოდენობით მშრალი ხიხინებით ტემპერატურის უმნიშვნელო მომატებასთან ერთად შეიძლება აღინიშნებოდეს 8-10 დღის განმავლობაში და უფრო მეტ ხანსაც.



მოგვიანებით ვითარდება დაავადების კრუნჩხვითი სტადია. ხველის შეტევას თან სდევს სუნთქვის შეკავება, ვლინდება რამდენიმე კრუნჩხვითი ხველის ბიძგები. ამის შემდეგ დგება ხანმოკლე პაუზა და ღრმა ჩასუნთქვა, შემდგომ ვითარდება შემაწუხებელი, კრუნჩხვითი ხველის შეტევა, ავადმყოფის სახე შეშუპებულია, ჰიპერემიულია, ზოგჯერ მოცისფრო ელფერით.

გაძლიერებულ ჩასუნთქვას თან სდევს ენის მნიშვნელოვნად წინ გამოწევა, რომლის ლაგამზეც, კბილით გამოწვეული ტრამვის შედეგად, ჩნდება პატარა ჭრილობა. კრუნჩხვისებურ ხველას, ზოგჯერ, მივყავართ სკლერის სისხლჩაქცევებამდე, ცხვირიდან სისხლდენებამდე.

ადრეულ ბავშვთა ასაკში, შესაძლებელია განვითარდეს ღებინება, უნებლიე შარდვა და დეფეკაცია.

კრუნჩხვითი ხველის შეტევის დროს, რამდენიმე ხველებითი ბიძგის შემდეგ, ვლინდება მსტვინავი, დაგრძელებული ხმა, რაც გამოწვეულია ჰაერის სწრაფი გატარებით ჯერ კიდევ დახურულ ხმოვან ნაპრალს შორის.

ხველის შეტევებს თან სდევს მთელი სასუნთქის მუსკულატურის დაძაბულობა. შეტევის ბოლოს გამოიყოფა მცირე რაოდენობით მინისებრი ლორწო.

შეტევების დამთავრების შემდეგ, ბავშვი თავს საკმაოდ დამაკმაყოფილებლად გრძნობს. კრუნჩხვითი სტადიის პირველ 15-20 დღეს, კრუნჩხვითი ხველის შეტევები ხშირდება, ხდება განსაკუთრებით შემაწუხებელი, მძიმე და ხანგრძლივი. დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება იყოს 8-10 დან 30-მდე, ზოგჯერ 40-მდეც, შეტევა.

მოგვიანებით, ისინი იშვიათდება, მოკლდება, ისე შემაწუხებელი აღარ არიან, თუმცა აღინიშნება სქელი, წებოვანი ნახველის გამოყოფა.

ყივანახველას მიმდინარეობა შეიძლება გართულდეს პნევმონიის განვითარებით, რომელიც ჩვეულებრივ გახანგრძლივებულად მიმდინარეობს.

ავადმყოფისთვის სიცოცხლის საშიშროებას წარმოადგენს მძიმედ მიმდინარე ბრონქიოლიტი.

ყივანახველას ტიპიური და მძიმე ფორმების პარალელურად, არც თუ იშვიათია მისი ატიპიური და წაშლილი ფორმები. წაშლილი ფორმების დროს, ხველის შეტევები მსუბუქად მიმდინარეობს, შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ რამდენიმე დღე.

ატიპიური ფორმები მიმდინარეობენ კრუნჩხვითი ხველის გარეშე.

დაავადების ამ ფორმების დროს ბავშვების განწყობილება მნიშვნელოვნად არ იცვლება.

ყივანახველის მკურნალობა ტარდება ბინაზე. ჰოსპიტალიზაცია საჭიროა დაავადების მძიმე ფორმების დროს, ასევე გართულებების დროს. რეკომენდებულია ავადმყოფის სუფთა ჰერზე ყოფნა. ადრეული ასაკის ბავშვებში მძიმე და საშუალო სიმძიმის ფორმების დროს ან გართულებებისას ინიშნება ანტიბიოტიკები.

ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს დაავადების სიმძიმე და ბავშვს აცრები დადგენილ კალენდარულ ვადებში ჩაუტაროს.

***

**ხველების დროს მიიღეთ:**

1. 0,5 ლ ცხელ რძეს შეურიეთ 1 კვერცხი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ამდენივე ნაღების კარაქი, კარგად აურიეთ და დალიეთ ძილის წინ;

2. 10 თავი ხახვი და 1 თავი ნიორი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ რძეში და ადუღეთ მანამ, სანამ ხახვი და ნიორი არ გაიხსნება. დაუმატეთ ცოტა პიტნა და თაფლი. გაფილტრეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ყოველ საათში ერთხელ დღის განმავლობაში.

3. სტაფილოს ან თალგამის წვენი შეურიეთ რძეს 1:1 თანაფარდობით. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში 6-ჯერ.

4. აურიეთ ერთმანეთში 2 სუფრის კოვზი ახალი რძე, 2 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი და 2 ჩაის კოვზი თაფლი. დალიეთ 1 ჩაის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

ანგინის დროს რეკომენდებულია თბილი რძისა და მინერალური წყლის (გაზგასული) ნარევის დალევა.

ყივანახველას დროს – 5 კბილი ნიორი დაჭერით წვრილად ან დანაყეთ და აადუღეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში, დალიეთ დღეში რამდენჯერმე;

ბრონქიტი – 1 ჩ.ჭ. რძე ჩაასხით მომინანქრებულ ჭურჭელში, ჩაყარეთ 1 ს.კ. სალბი, დაახურეთ თავი, დადგით ნელ ცეცხლზე, წამოადუღეთ, გააცივეთ და გაფილტრეთ. ისევ აადუღეთ და დალიეთ ცხლად.

2 ჩ.ჭ. ადუღებულ რძეში გახსენით 1 დესერტის კოვზი ღორის გამდნარი ქონი. მიღებული ნაყენი სვით ცხელი, პატარ-პატარა ყლუპებით.

# თუ კოჟრი გაწუხებთ

ფეხისგულზე და ქუსლზე კანი გაუხეშდა და გასქელდა, საჭიროა თბილი წყლით დაბანვისას გაიხეხოთ პენზით. თუ ამ პროცედურამ არ გიშველათ, გაიკეთეთ სოდიანი ცხელი წყლის აბაზანები, რომელშიც ჩაუმატებთ საჭმლის სოდას (ჩაის კოვზი სოდა ერთ ლიტრ წყალზე). ასეთი აბაზანის შემდეგ სქელი ფენა კვლავ გაიხეხეთ და ფეხის გულზე და ქუსლზე წაისვით დამარბილებელი საცხი.



სასურველ შედეგს 6-10 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ფეხებსა და ქუსლებზე ხუთპროცენტიანი სილიცილის მალამოს შეზელვა, შემდეგ ისევ ფეხის აბაზანა და ფეხის გულის და ქუსლის გახეხვა პენზით. უფრო რთულია კოჟრის მოშორება. ამ დროს საჭიროა ყოველდღიურად ფეხის თბილი აბაზანების მიღება, თუ კოჟრის ფესვები ღრმად არის ჩაზრდილი, კოჟრი რამდენიმე აბაზანის შემდეგ მოსცილდება.

კარგია კოჟრზე აბაზანის შემდეგ ძმარში დასველებული პურის საფენი. კოჟრის (თუნდაც ძველის) განკურნება შეიძლება, თუ 6-7 დღის განმავლობაში დააფარებთ შემწვარ ხახვს, ლიმონის ქერქს ან გახეხილ კარტოფილს, ოღონდ საჭიროა სიფრთხილე: პურის გული, ლიმონი, ხახვი, კარტოფილი უნდა ფარავდეს მხოლოდ კოჟრს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ჯანმრთელი კანის გაღიზიანებას. 6-7 დღის შემდეგ საჭიროა ფეხის აბაზანის მიღება და კოჟრის აფხეკა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წნევის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# როგორ ამოვიცნოთ გულის შეტევა

ტკივილი გულის არეში, წარმოშობის მიზეზების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ანგინოზური ტკივილი, რომელიც ვითარდება გულის იშემიური დაავადების სხვადასხვა სტადიების დროს. მას იწვევს მიოკარდიუმის განსაზღვრულ უბნებში სისხლის მიდინების შემცირება (სტენოკარდია, ინფარქტი),

ტკივილი გულის არეში, გამოწვეული გულის ანთებითი დაავადებებით, გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით ან ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიით, არაკარდიული პათოლოგიით გამოწვეული ტკივილები.

როგორ განვასხვავოთ, ტკივილი გულის პათოლოგიით არის გამოწვეული თუ არა?

თუ ტკივილი გულის იშემიური დაავადების (სტენოკარდია, ინფარქტი) გამოვლინებაა, ასეთი ტკივილებისათვის დამახასიათებელია ტკივილის აღმოცენება ან გაძლიერება სიარულის, ემოციური დაძაბულობის დროს (ფიზიკური დატვირთვის ან ემოციური დაძაბულობის დროს ხდება სისხლის მიმოქცევის გაძლიერებაზე მოთხოვნილების აღმოცენება), და მისი შესუსტება ან გაქრობა მოსვენებისას. ასეთი ტკივილი ხშირად იხსნება ნიტროგლიცერინის მიღების ფონზე.

ძალიან ძლიერი, ზეწოლითი, მოჭერითი ხასიათის ტკივილი, მკერდის ძვლის უკან ან მისგან მარცხნივ, რომელიც განიცდის ირადიაციას (გადაცემას) ხელში, კისერში, მარცხენა ბეჭში, ზოგჯერ ქვედა ყბაში ან კბილშიც კი, შეიძლება მიოკარდიუმის ინფარქტის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. ამასთან, ის შეიძლება აღარ მოიხსნას ნიტროგლიცერინით.

რევმატიული დაავადებით გულის დაზიანების ფონზე აღმოცენებული ტკივილის მიზეზი არის გულის გარეთა გარსში – პერიკარდიუმში განვითარებული ანთებითი ცვლილებები. ასეთი ტკივილები, როგორც წესი, ხანგრძლივია, ხშირია მკერდის ძვლის უკან ტკივილი, რომელიც ძლიერდება სუნთვის, ხველების დროს. ასეთი ტკივილი არ იხსნება ნიტროგლიცერინით, მაგრამ შეიძლება შესუსტდეს ტკივილდამაყუჩებელი პრეპარატების დანიშვნის შემდეგ.

თუ ტკივილი გულის არეში იცვლება წინ დახრის ან სხეულის შემობრუნების დროს, ასევე ღრმა შესუნთქვისას და ამოსუნთქვის, ხელების მოძრაობის დროს ასეთი ტკივილი გამოწვეულია გულმკერდის რადიკულიტით.

ნიტროგლიცერინისა და ვალიდოლის მიღება პრაქტიკულად არ ცვლის ტკივილის ინტენსივობას.

***

ძლიერი ტკივილი ნეკნთაშუა არეების გასწვრივ, ჩვეულებრივ, ჰერპეს ზოსტერის ადრეული გამოვლინებაა, ხოლო გულის არეში აღმოცენებული გახანგრძლივებული, შემაწუხებელი ყრუ ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება ან ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი ნევროზის გამოვლინებაა.

სტრესი და დეპრესია გამოვლინდება ძირითადად ტკივილით კისრისა და მხრის ნაწილში. ასეთი ტკივილი უმეტესწილად კუნთოვანი წარმოშობისაა. ხშირად ქოშინი, მოჭერითი ან ჩხვლეტითი ტკივილი გულის არეში დაკავშირებულია ნაწლავების შებერილობასთან, რაც დიაფრაგმის გზით აწვება გულის მწვერვალს და ამით ახდენს მისი ფუნქციის გაუარესებას. თუკი ტკივილის აღმოცენება გარკვეულად უკავშირდება განსაზღვრული სახის საკვების მიღებას, შესაძლოა მისი მიზეზი სწორედ ეს არის და არა გულის დაავადება.



ნაღვლის ბუშტის ანთებით ან ნაღველკენჭოვანი დაავადებით გამოწვეული ტკივილი ასევე შეიძლება გამოვლინდეს გულის არეში ან ბეჭის მიდამოში განვითარებული ჭვალის სახით.

***

ტკივილის მიზეზი შესაძლოა გახდეს ხერხემლის გულმკერდის მიდამოს სხვადასხვა დაზიანება, მაგ. ოსტეოქონდროზი, ხერხემლის გამრუდება, დისკოზი და სხვ.

გულის არეში ტკივილის დროს, საჭიროა გავერკვეთ, თუ რამდენად სახიფათოა ის ჩვენი ჯანმრთელობისათვის და რამდენად საჭიროა სასწრაფოს გამოძახება. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ტკივილის ხასიათი.

გულის დაავადების სიმპტომებია გულმკერდის მარცხენა ნახევარში აღმოცენებული ტკივილი, გულის ფრიალი, გულისცემისა და „გამოვარდნების" შეგრძნება, ქოშინი, შეშუპება, გულის წასვლა, გონების უეცარი გაკარგვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების 43% საერთოდ ვერ გრძნობს ტკივილს გულმკერდში და უჩივის ტკივილს ძირითადად ხერხემლის მიდამოში ან გულმკერდის ზედა ნაწილში. ქალებში გულის დაავადებების ნიშანი შეიძლება იყოს სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე, ცივი ოფლი და თავბრუსხვევა.

ნევროზების, გულის მანკების, ხერხემლის კისრისა და გულმკერდის ნაწილის, ასევე მთელი რიგი შინაგანი ორგანოების დაავადებებით გამოწვეული ტკივილი ძალიან ხშირად ემგვანება სტენოკარდიულ შეტევას, ამიტომ დიაგნოზის დადგენა შეუძლია მხოლოდ ექიმკარდიოლოგს.

არ გადადოთ დიდხანს ვიზიტი ექიმთან (უმჯობესია კარდიოლოგთან);

აუცილებლად გაიკეთეთ ელექტროკარდიოგრამა (ეკგ), სტრეს-ეკგ (ეს არის ეკგ, ჩაწერილი ფიზიკური დატვირთვის ფონზე) და ჩაიტარეთ ეკგ-ს სადღეღამისო მონიტორირება.



# მკურნალი მცენარე

**სალბი** – მრავალწლიანი ნახევარბუჩქოვანი მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან სიმაღლით 20-80 სმ. ფოთლები მოგრძოა, ნაოჭიანი, შებუსული განსაკუთრებით ქვედა მხრიდან. ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ ფოთლები იცვლიან ფერს მოვერცხლისფერო-ნაცრისფრად. ყვავილედი მარტივია, მოლურჯო-იისფერი ყვავილებით.

ნედლეულის შეგროვებას აწარმოებენ ნაყოფის შემოსვლის დროს ივლისის დასაწყისიდან ოქტომბრამდე. ამ დროს ფოთლებში ეთერზეთის მეტი რაოდენობაა. აშრობენ ჰაერზე.

სალბის ნაყენებსა და ნახარშებს ძირითადად იყენებენ როგორც ანთების საწინააღმდეგო ბაქტერიოსტატიკური თვისებებით, მადეზინფიცირებელ საშუალებას პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს. ხალხურ მედიცინაში სალბის ფოთლები გამოიყენება



გასტრიტის, კოლიტის, ღვიძლის, თირკმელების დაავადების, ბრონქიტების დროს, აგრეთვე როგორც ამოსახველებელი, ხველის შემარბილებელი, შარდმდენი საშუალება.

სალბის ნაყენის მისაღებად 30 გ ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ ადუღებული წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში.

თვლიან, რომ სალბის ნაყენის მიღება ამცირებს ოფლის გამოყოფას. ამიტომ ურჩევენ მის მიღებას ძლიერი ოფლიანობის შემთხვევაში, განსაკუთრებით კლიმაქტერულ პერიოდში.

მის ნაყენს იყენებენ როგორც კოსმეტიკურ საშუალებას ფერისმჭამელების სამკურნალოდ. ამისათვის ნაყენს შემდეგნაირად ამზადებენ: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ადუღებენ არაუმეტეს 15 წუთისა, ხმარობენ თბილი საფენების სახით.

# ლონდონური დერბის მოლოდინში

მორიგი უქმეები და ძირითად ყურადღება ისევ ინგლისისკენ არის მიმართული. პირველ რიგში ლონდონური დერბია გამოსარჩევი — ჩელსი-არსენალი. არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს მანჩესტერისა და ლესტერის შეხვედრაც.

**ინგლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.09 | მანჩესტერი-ლესტერი | 1.67 | 4.0 | 5.5 |
| 24.09 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 4.0 | 3.4 | 2.05 |
| 24.09 | სანდერლენდი-კრ.პალასი | 3.0 | 3.1 | 2.6 |
| 24.09 | ბორნმუთი-ევერტონი | 3.6 | 3.4 | 2.15 |
| 24.09 | ლივერპული-ჰალი | 1.25 | 6.5 | 12.0 |
| 24.09 | სუონსი-სიტი | 8.5 | 4.8 | 1.4 |
| 24.09 | სტოკი-ვესტ ბრომვიჩი | 2.45 | 3.1 | 3.2 |
| 24.09 | არსენალი-ჩელსი | 2.5 | 3.3 | 3.1 |
| 25.09 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 2.87 | 3.2 | 2.7 |
| 26.09 | ბარნლი-უოტფორდი | 2.87 | 3.2 | 2.7 |

**მანჩესტერი-ლესტერი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანტონი მარსიალი, ფილ ჯონსი, ჰენრიკ მხითარიანი, ლუკ შოუ

ლესტერი: ***ტრავმ***-კასპერ შმეიხელი, ნამპალის მენდი

**მიდლსბრო-ტოტენჰემი**

მიდლსბრო: ***ტრავმ***-კრისტიან სტუანი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ჰარი კეინი, მუსა დემბელე, ერიკ დიერი, დანი როუზი

**სანდერლენდი-კრ.პალასი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-პატრიკ ვან ანჰოლტი, ვაჰბი ჰაზრი, ჯერმეინ დეფო, ფაბიო ბორინი, ვიტო მანონე

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტომკინსი, პაპე სუარე, იოან კაბაიე

**ბორნმუთი-ევერტონი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-რომელუ ლუკაკუ, ჯეიმს მაკკარტი

**ლივერპული-ჰალი**

ლივერპული: ***ტრავმ***-შეი ოიო, ჯოზეფ გომესი

ჰალი: ***ტრავმ***– არავინ

**სუონსი-სიტი**

სუონსი: ***ტრავმ***-ნათჰან დაიერი

სიტი: ***ტრავმ***-ფერნანდო, დავიდ სილვა, ფებიან დელფი

**სტოკი-ვესტ ბრომვიჩი**

სტოკი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, ჰედრან შაქირი, იბრაჰიმ აფელაი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ნასერ ჩადლი

**არსენალი-ჩელსი**

არსენალი: ***ტრავმ***-ოლივიე ჟირუ, აარონ რემზი, პერ მერტეზაკერი, დანი უელბეკი

ჩელსი: ***ტრავმ***-ჯონ ტერი, კურტ ზუმა

**ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-უინსტონ რიდი, სამი ბირამი, ანდრე აიევი, ენდი კეროლი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯეი როდრიგესი, ჯერემი პიდი

**ბარნლი-უოტფორდი**

ბარნლი: ***ტრავმ***– არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-დარილ იანმაატი, იუნის კაბული, შტეფანო ოკაკა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-4 | 15 |
| 2.ევერტონი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 13 |
| 3.ტოტენჰემი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 11 |
| 4.არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 10 |
| 5.ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| 6.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 7.მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 9 |
| 8.კრ.პალასი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| 9.უოტფორდი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 11.ლესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 12.ჰალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 13.მიდლსბრო | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 14.საუთჰემპტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 15.სუონსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 16.ბარნლი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 17.ბორნმუთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-13 | 3 |
| 19.სანდერლენდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |
| 20.სტოკი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-14 | 1 |

**ესპანეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.09 | ეიბარი-სოსიედადი | 2.6 | 3.25 | 2.87 |
| 24.09 | ხიხონი-ბარსელონა | 9.5 | 6.0 | 1.3 |
| 24.09 | ბილბაო-სევილია | 2.1 | 3.5 | 3.6 |
| 24.09 | ლას პალმასი-რეალი | 8.0 | 5.5 | 1.36 |
| 25.09 | ლეგანესი-ვალენსია | 2.87 | 3.25 | 2.6 |
| 25.09 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.22 | 6.5 | 15.0 |
| 25.09 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.4 | 4.5 | 9.5 |
| 25.09 | ესპანიოლი-სელტა | 2.4 | 3.4 | 3.0 |
| 26.09 | ალავესი-გრანადა | 2.1 | 3.3 | 3.8 |

**ეიბარი-სოსიედადი**

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

სოსიედადი: ***ტრავმ***-ტონო, იმანოლ აგირეჩე

**ხიხონი-ბარსელონა**

ხიხონი: ***ტრავმ***-მოი გომესი

ბარსელონა: ***ტრავმ***-სამუელ უმტიტი

**ბილბაო-სევილია**

ბილბაო: ***ტრავმ***-ენეკო ბოვედა, ოსკარ დე მარკოსი

სევილია: ***ტრავმ***-დანიელ კარიკო, ადილ რამი, ბენუა ტრემულანისი, მაიკლ კრონ-დელი

**ლას პალმასი-რეალი**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-დავიდ გარსია

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, კაზემირო, კეილორ ნავასი

**ლეგანესი-ვალენსია**

ლეგანესი: ***ტრავმ***– არავინ

ვალენსია: ***ტრავმ***-მეტიუ რიანი, ეზეკიელ გარაი

**ატლეტიკო-დეპორტივო**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ალესიო ჩერჩი, ტიაგო, მიგელ მოია

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხოსელუ, სიდნეი

**ვილიარეალი-ოსასუნა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რობერტო სოლდადო

## სტატისტიკა, ფსონები




ოსასუნა: ***ტრავმ***-ფაუსტო ტიენზა, ხავიერ ფლანო

**ესპანიოლი-სელტა**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-პაბლო პიატი

სელტა: ***ტრავმ***-ფაბიან ორელანა

**ალავესი-გრანადა**

ალავესი: ***ტრავმ***-ზუჰაირ ფედალი

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-4 | 13 |
| 2.სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-6 | 11 |
| 3.ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 14-6 | 10 |
| 4.ატლეტიკო | 5 | 2 | 3 | 0 | 11-2 | 9 |
| 5.ლას პალმასი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-9 | 9 |
| 6.ვილიარეალი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| 7.ბილბაო | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 8.სოსიედადი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 9.ეიბარი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 10.ლეგანესი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| 11.ხიხონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-9 | 7 |
| 12.ალავესი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 13.დეპორტივო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 14.მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 15.ესპანიოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-12 | 5 |
| 16.ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 17.სელტა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 18.ვალენსია | 5 | 1 | 0 | 4 | 7-11 | 3 |
| 19.ოსასუნა | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 20.გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 6-12 | 2 |

**გერმანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.09 | აუგსბურგი-დარმშტადი | 1.65 | 4.0 | 5.5 |
| 24.09 | აინტრახტი-ჰერტა | 2.45 | 3.25 | 3.1 |
| 24.09 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.87 | 3.5 | 2.45 |
| 24.09 | გლადბახი-ინგოლშტადი | 1.73 | 3.8 | 5.0 |
| 24.09 | ჰამბურგი-ბაიერნი | 15.0 | 6.5 | 1.22 |
| 24.09 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 3.6 | 3.8 | 2.0 |
| 25.09 | ჰოფენჰაიმი-შალკე | 2.62 | 3.6 | 2.6 |
| 25.09 | კიოლნი-ლაიპციგი | 2.3 | 3.4 | 3.2 |

**აუგსბურგი-დარმშტადი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-დომინიკ კორი, კაიუბი

დარმშტადი: ***ტრავმ***– არავინ

**აინტრახტი-ჰერტა**

აინტრახტი: ***ტრავმ***-გილერმო ვარელა

ჰერტა: ***ტრავმ***-ვლადიმირ დარიდა, ჯონ ბრუკსი

**მაინცი-ლევერკუზენი**

მაინცი: ***ტრავმ***–არავინ

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ქარიმ ბელარაბი

**გლადბახი-ინგოლშტადი**

გლადბახი: ***ტრავმ***-პატრიკ ჰერმანი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***–არავინ

**ჰამბურგი-ბაიერნი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-დენის დიკმაიერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-დუგლას კოსტა, ჰოლგერ ბადშტურბერი

**ვერდერი-ვოლფსბურგი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ფინ ბარტელსი, ლუკა კალდიროლა, კლაუდიო პიზარო, მაქს კრუსე

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ დიდავი, ლუის გუსტავო, ჯოშუა გულავოგი

**ჰოფენჰაიმი-შალკე**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-პირმინ შვეგლერი

შალკე: ***ტრავმ***-ატსუდო უჩიდა

**კიოლნი-ლაიპციგი**

კიოლნი: ***ტრავმ***-ლეონარდო ბიტენკურტი, დომინიკ მარო

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-1 | 12 |
| 2.კიოლნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 3.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-3 | 9 |
| 4.აინტრახტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 5.ჰერტა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 6.ლაიპციგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 7.მაინცი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-8 | 7 |
| 8.გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 9.ფრაიბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 10.ვოლფსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 4 | 0 | 4 | 0 | 7-7 | 4 |
| 12.ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 13.აუგსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 14.დარმშტადტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-9 | 4 |
| 15.ინგოლშტადტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |
| 16.ჰამბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| 17.შალკე | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |
| 18.ვერდერი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-14 | 0 |

**იტალია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.09 | პალერმო-იუვენტუსი | 11.0 | 5.0 | 1.33 |
| 24.09 | ნაპოლი-კიევო | 1.36 | 5.0 | 9.5 |
| 25.09 | ტორინო-რომა | 3.5 | 3.75 | 2.05 |
| 25.09 | სასუოლო-უდინეზე | 2.05 | 3.3 | 4.0 |
| 25.09 | ჯენოა-პესკარა | 1.65 | 4.0 | 5.5 |
| 25.09 | ინტერი-ბოლონია | 1.5 | 4.33 | 7.0 |
| 25.09 | ლაციო-ემპოლი | 1.5 | 4.33 | 7.0 |
| 25.09 | ფიორენტინა-მილანი | 2.3 | 3.3 | 3.3 |
| 26.09 | კროტონე-ატალანტა | 4.33 | 3.5 | 1.91 |
| 26.09 | კალიარი-სამპდორია | 2.25 | 3.4 | 3.3 |

**პალერმო-იუვენტუსი**

პალერმო: ***ტრავმ***-აკურსიო ბენტივენია, სლობოდან რაიკოვიჩი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მეჰდი ბენათიამ კლაუდიო მარკიზიო

**ნაპოლი-კიევო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ვლად კირიკეში

კიევო: ***ტრავმ***–არავინ

**ტორინო-რომა**

ტორინო: ***ტრავმ***-კრისტიან მოლინარო, ადემ ლიაიჩი, მაქსი ლოპესი

რომა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი

**სასუოლო-უდინეზე**

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, სტეფანო სენსი

უდინეზე: ***ტრავმ***-ემილ ჰალფრედსონი, სილვან ვიდმერი, სამირი

**ჯენოა-პესკარა**

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

პესკარა: ***ტრავმ***-ნორბერტ გიომბერი, დარიო ზუპარიჩი, ანდრეა კოდა

**ინტერი-ბოლონია**

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი

ბოლონია: ***ტრავმ***-ანტონიო მირანტე

**ლაციო-ემპოლი**

ლაციო: ***ტრავმ***-ლუკას ბილია

ემპოლი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა

**ფიორენტინა-მილანი**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-დავიდე ასტორი, მატიას ვეჩინო

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი, ანდრეა ბერტოლაჩი

**კროტონე-ატალანტა**

კროტონე: ***ტრავმ***-ნიკოლო ფაცი

ატალანტა: ***ტრავმ***-კარლოს კარმონა

**კალიარი-სამპდორია**

კალიარი: ***ტრავმ***-მაურისიო ისლა, დიეგო ფარიასი, არტურ იონიტა

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯაკოპო სალა, დანიელე პავლოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| 2.ნაპოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-5 | 11 |
| 3.რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 13-5 | 10 |
| 4.კიევო | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 5.ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 6.მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.ბოლონია | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 8.ჯენოა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 9.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 11.უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 12.სამპდორია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 13.სასუოლო | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| 14.ტორინო | 5 | 1 | 2 | 2 | 8-6 | 5 |
| 15.პესკარა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 16.პალერმო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 17.კალიარი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 18.ემპოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 19.ატალანტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-11 | 3 |
| 20.კროტონე | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**საფრანგეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.09 | ლორიანი-ლიონი | 4.0 | 3.5 | 1.91 |
| 24.09 | ბორდო-კაენი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 24.09 | მონპელიე-მეცი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 24.09 | მონაკო-ანჟე | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 24.09 | დიჟონი-რენი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 24.09 | ბასტია-გენგამი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 25.09 | სტ.ეტიენი-ლილი | 2.4 | 3.0 | 3.25 |
| 25.09 | ნანსი-ნიცა | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 25.09 | მარსელი-ნანტი | 2.0 | 3.1 | 4.0 |

**ლორიანი-ლიონი**

ლორიანი: ***ტრავმ***-კაფუ, მაჯედ ვორისი, ლინდსეი როუზი, ვესლი ლაუტოა, სილვიან მარვო

ლიონი: ***ტრავმ***-მაქსიმ გონალონსი, კლემენტ გრანიე, ალექსანდრე ლაკაზეტი, კრისტოფერ ჟალე

**ბორდო-კაენი**

ბორდო: ***ტრავმ***-დიეგო როლანი, ვალენტინე ვადა, ადამ უონასი, ჯერემი მენეზი, ჯერემი ტულანანი, ფრედერიკ ჯილბერტი

კაენი: ***ტრავმ***-ნიკოლას სეუბე, სტიდ მალბრანქი, ჰერვე ბაზილე, მუჰამადუ დაბო

**მონპელიე-მეცი**

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

მეცი: ***ტრავმ***-ოპა ნგუეტე, იან ჟოფრე

**მონაკო-ანჟე**

მონაკო: ***ტრავმ***-ნაბილ დირარი, ბენჯამინ მენდი

ანჟე: ***ტრავმ***-ჟილ სუნუ, გრეგუარ ბურილონი

**დიჟონი-რენი**

დიჟონი: ***ტრავმ***-ჟულიო ტავარეში

რენი: ***ტრავმ***-ერმირ ლენიანი, კლემენტ ჩანტომე

**ბასტია-გენგამი**

ბასტია: ***ტრავმ***-ალექსანდერ ჯიკუ, აბელ ელ კაუტარი

გენგამი: ***ტრავმ***-კარლ ჯონსონი, მარკუს კოკო

**სტ.ეტიენი-ლილი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ანრი საივე, კევინ თეოფილე, ჯერემი კლემენტი, პიერ პოლომატი, ბენჯამინ კორნე, ჩეიკ მბენგუე

ლილი: ***ტრავმ***-სტოპირა სუნზუ, მორგან ამალფიტანო, მუნირ ობადი

**ნანსი-ნიცა**

ნანსი: ***ტრავმ***-არავინ

ნიცა: ***ტრავმ***-არავინ

**მარსელი-ნანტი**

მარსელი: ***ტრავმ***-დორია, ლასანა დიარა, აბუ დიაბი

ნანტი: ***ტრავმ***-დიეგო კარლოსი, ჯულეს ილოკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 2.პსჟ | 6 | 4 | 1 | 1 | 15-4 | 13 |
| 3.მონაკო | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| 4.ბორდო | 6 | 4 | 0 | 2 | 11-8 | 12 |
| 5.ტულუზა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 6.გენგამი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 7.ლიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-8 | 10 |
| 8.რენი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 9.მეცი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 10.სტ.ეტიენი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 11.ანჟე | 6 | 3 | 0 | 3 | 6-6 | 9 |
| 12.ბასტია | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| 13.მონპელიე | 6 | 1 | 3 | 2 | 6-11 | 6 |
| 14.კაენი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-14 | 6 |
| 15.მარსელი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 16.ნანტი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-6 | 5 |
| 17.ნანსი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 18.ლილი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |
| 19.დიჟონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 20.ლორიანი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-11 | 3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ღარიბი ალჟირელის გზა — მარსელიდან მადრიდამდე

ერთხელ ესპანელმა ჟურნალისტმა, სესარ მარტინესმა თქვა – არ ვიცი, არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ არ არსებობს ფეხბურთი ზიდანის შემდეგ.

ყველა გუნდს ჰყოლია გამოკვეთილი ვარსკვლავები, რომლებიც ლეგენდობისთვის იყვნენ განწირულნი და სწორედ მათ რიგებშია ზინედინ ზიდანი.

1998 წელს ფლორენტინო პერესი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს სტად დე ფრანსედან ადევნებდა თვალს. როდესაც ზინედინ ზიდანმა 27-ე წუთზე ანგარიში თავური დარტყმით გახსნა, პერესმა თავის მეუღლეს გადაულაპარაკა — ხედავ 10 ნომერ ფეხბურთელს? თუ ოდესმე რეალის პრეზიდენტი გავხდები, ეს ფეხბურთელი აუცილებლად ითამაშებს ჩემს გუნდში.

პერესი რისი პერესი იქნებოდა, ეს რომ არ აესრულებინა. 2001 წელს ფიფას ორგანიზებულ ერთ-ერთ კონცერტზე, ფლორენტინო პერესის მაგიდიდან გზავნილი გადავიდა შემდეგ მაგიდაზე, სადაც საფრანგეთის და ტურინის იუვენტუსის ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი იჯდა. ეს გზავნილი იყო ხელსახოცი, რომელზეც ასეთი რამ ეწერა: გინდა მადრიდის რეალში თამაში? ზიდანს გაეცინა და ინგლისური ასოებით ხელსახოცს მიაწერა — იეს.

ალჟირელი ღარიბი ბიჭუნა მარსელში 1972 წელს დაიბადა და ისიც, როგორც უმრავლესობა, სიდუხჭირეში იზრდებოდა, მაგრამ იზრდებოდა ფეხბურთის სიყვარულით. მინდვრის მაგივრად ასფალტზე თამაშობდა და ბურთის მაგივრობას ბოთლი უწევდა. პატარა ზიზუს ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ის 14 წლის ასაკში ჩაირიცხა საფეხბურთო კლუბ კანში. შემდეგ იყო ბორდო, იუვენტუსი და ოქროს ხანად მონათლული მადრიდი.



2005 წლის 25 აპრილს შედგა მატჩი ვილიარეალსა და მადრიდის რეალს შორის. ამ შეხვედრის მსვლელობაში გადაიღეს ფილმი — „ზიდანი. 21-ე საუკუნის პორტრეტი". ერთი წლის შემდეგ კი, როცა კანის ფესტივალზე ამ ფილმის პრემიერა შედგა, ამ დროს ესპანეთში, სანტიაგო ბერნაბეუზე მადრიდის რეალის ლეგენდამ თავისი ბოლო შეხვედრა ჩაატარა.

იშვიათობაა წახვიდე ფეხბურთიდან ისე, როგორც ზიდანი წავიდა, თავაწეული — მიუხედავად წაგებული მუნდიალისა. ეს რჩეულთა ხვედრია, ისეთი რჩეულებისა, როგორიც ზიზუ იყო.

გასახდელისკენ ნელა მიმავალს თასისთვის ერთხელაც არ გაუხედავს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალჟირელმა არქიტექტორმა შექმნა ძეგლი და იქვე დასძინა:

— ტრადიციების მიხედვით ძეგლებს ქმნიან, როგორც გამარჯვების სიმბოლოს, მე კი დამარცხება ავირჩიე.

## ორშაბათი 26 სექტემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "ადვოკატები" 07.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ვულკანი, აფეთქების დროა" 08.00 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ცხიერი მოახლეები" 12.20 მხ/ფ "აეროპორტი. კონკორდი 79" (ა.დელონი) 15.00, 23.10 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ადამიანის ბუნება" 20.00 მოამბე+მოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 00.10 მხ/ფ "ფანჯარა ეზოს მხარეს" (გ.კელი) 02.10 მხ/ფ "მტირალა ბავშვი" (მ.ჰემინგუეი)

08.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 09.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 10.00 მხ/ფ "ორი ძმა" 12.00 ტ/სერ "ცოდვა და სირცხვილი" 13.00 ტ/სერ "ჩენტო ვეტრინე" 14.00, 22.30 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 ტ/სერ "ზღვარს მიღმა"

05.30 სერ. "ბამბის ველი" 06.30, 16.00 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ერთი სიყვარულის ამბავი" 11.20 სერ. "სიყვარულის ჟამი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ 23.30 მხ/ფ 01.45 მხ/ფ "ნოემბრის კაცი" 03.45 მხ/ფ "ოთხი ძმა"

06.00 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 06.45 სერ. "გაბრიელა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "დედოფლის სევდა" 15.55 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "ცხოვრების გზები" 18.50 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 19.55, 20.05 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 22.00 არჩევანი - 2016 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00 სერ. "გრეის ანატომია" 12.00 შეხვედრები რეგიონულ მედიასთან 13.30 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "ახალი გოგო" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.30 სერ. "ჰეროკრატია" 0.30 მხ/ფ "ინტერვიუ ვამპირთან" 2.45 სერ. "ძვლები"

